

ჰორიზონ 28

## სევალჯიშობის კრიზული

მშობლებისთვის,  
რომელთა შვილებმაც  
სექსუალური ძალადობა  
განიცადეს

თარპავაზის სევალებავარებო



ფ. ლამერს-ვინკელმანი





ჰორიზონ 28

სევერალიტერა  
კრებული

მშობლებისთვის,  
რომელთა შვილებმაც  
სექსუალური ძალადობა  
განიცადეს

თარპვევის სახელმძღვანელო

ფ. ლამერს-ვინკელმანი



თქვენს წინაშეა სახელმძღვანელოთა ნაკრები

**ჰორიზონტი 1ა** საგარჯიშოთა კრებული ბავშვებისთვის, რომლებმაც სექსუალური ძალადობა განიცადეს.

**ჰორიზონტი 1ბ** საგარჯიშოთა კრებული ბავშვებისთვის, რომლებმაც სექსუალური ძალადობა განიცადეს. თერაპევტის სახელმძღვანელო.

**ჰორიზონტი 2ა** საგარჯიშოთა კრებული მშობლებისთვის, რომელთა შვილებმაც სექსუალური ძალადობა განიცადეს.

**ჰორიზონტი 2ბ** საგარჯიშოთა კრებული მშობლებისთვის, რომელთა შვილებმაც სექსუალური ძალადობა განიცადეს. თერაპევტის სახელმძღვანელო.

სახელმძღვანელოები ჰორიზონტიურიდან ქართველ ენაზე თარგმნილია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის და “დევენს ფორ ჩილდრენ ინტერნაციონალი/ეპატ” (DCI/ECPAT, the Netherlands) ერთობრივი პროექტის – “ბავშვთა ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვა საქართველოში” ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამის (მატრა) და ბოდი შოპ ფონდის მიერ.



## ჰორიზონტი 2ბ

საგარჯიშოთა კრებული მშობლებისთვის, რომელთა შვილებმაც სექსუალური ძალადობა განიცადეს. თერაპევტის სახელმძღვანელო.

ფ. ლამერს-ვინკელმანი.

ტექსტი თარგმნილია დავით დოლიჯაშვილის მიერ.

დაკაბადონება და დიზაინი: გიორგი დოლიძე.

რედაქტორი: ლია სარალიძე, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი.

გამოცემულია: 2012 წელი.

ISBN 978-9941-0-4269-0

©საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, 2012  
ორიგინალური გერსის გამოცემის საავტორო უფლება ეკუთვნის:

©2007 B.V.Uitgeverij SWP Amsterdam.

პუბლიკაცია მომზადებულია ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არა აუცილებელი ასახვებს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.



ბავშვების ზენვის სისტემისა და მომსახურების გაძლიერება

Strengthening Child Care Services and Systems



EveryChild.



# ს პ რ ჩ ე ვ ი

## წილების განყოფა

5

სეიდ 1	შესავალი	11
სეიდ 2	თქვენს შვილთან დაკავშირებული პრობლემები	17
სეიდ 3	გრძნობები	23
სეიდ 4	ბრაზი	27
სეიდ 5	საუბარი	31
სეიდ 6	ბრალი	35
სეიდ 7	ბალადობა და კანონი	41
სეიდ 8	როგორ დავიცვა შვილი?	45
სეიდ 9	ფიქრი შვილის მომავალზე	47
სეიდ 10	შექება	51
სეიდ 11	სადმე მომალადე რომ შემსვდეს...	53
სეიდ 12	ახლა კი ჩემი სურვილების შესახებ	55
სეიდ 13	ბოლოსწინა სესია	59
სეიდ 14	ბოლო სესია	61
სეიდ X	თუ ბავშვს მისი ასაკისთვის შეუფერებელი სექსუალური საქციელი ახასიათებს	63



# ლიცენზიურობა

საერთაშოთა  
კრეატული და  
სახელმწიფო  
ლო

წინამდებარე სახელმძღვანელო და სავარჯიშოთა კრებული შედგენილია იმ მიზნით, რომ დაგეხმაროთ და ვასწავლოთ მშობლებს, როგორ შეუწყონ ხელი შვილებს ჯგუფური თერაპიის მსვლელობისას. მოცემული სახელმძღვანელო და სავარჯიშოთა კრებული ერთი საერთო პროგრამის ნაწილია, რომელშიც ასევე შედის “სავარჯიშოთა კრებული ბავშვებისთვის, რომლებმაც სექსუალური ძალადობა განიცადეს” და შესაბამისი “თერაპევტის სახელმძღვანელო” (ლამერს-ვინკელმანი & ბიკანიჩი, 1999 წ.).

ნუ მიიღებთ ჩვენს რეკომენდაციებს მზა რეცეპტებად, თუ როგორ უნდა მოიქცეთ, არამედ მიიღედ რჩევებად, თუ როგორ შეიძლება მოიქცეთ. მეორეს მხრივ, გირჩევთ ზუსტად დაიცვათ კურსის მსვლელობა, რამეთუ იგი ეთანხმება ბავშვთა თერაპიის კურსის მსვლელობას. თუ თქვენ ან მშობლები ჩათვლით, რომ რომელიმე სხვა თქმაც ყურადღებას იმსახურებს, ნება თქვენია, ოღონდ ამით ნუ დაარღვევთ მოცემულ ორ კურსს შორის არსებულ კავშირს.

ჯეზური  
მიზოვა

მშობელთა თერაპია არ გულისხმობს მათ მიერ (ახალგაზრდობაში) განცდილი სულიერი ტრავმის რეაბილიტაციას. არამედ, მშობელთა თერაპია ასწავლის მშობელს, როგორ შეუწყონ ხელი შვილების რეაბილიტაციას. კვლევამ და გამოცდილებამ გააჩვენა, რომ ბავშვის თერაპია გაცილებით ეფექტურია, თუ მშობელიც შესაბამის თერაპიაში მონაწილეობას იღებს.

სასურველია, თერაპიაში ორივე მშობელი მონაწილეობდეს. თუმცა, თუ ერთ-ერთი მშობელი თავადაა მოძალადე, მაშინ მისი მონაწილეობა გასაგები მიზეზების გამო გამორიცხულია. მისთვის სხვა სახის თერაპიული მეთოდები არსებობს.

რომორცა  
პრობლემა  
უდანილი?

მშობელთა თერაპიის თემატიკა ბავშვთა თერაპიის პროგრამასთანაა შეხამებული. თითოეული სესია, მსგავსად ბავშვთა თერაპიისა, ცალკეულ თემას განიხილავს. თემის განხილვა სხვადასხვაგვარად ხდება: საუბრით, სატვით, როლების გათამაშებით და ა.შ. მშობლებს “საშინაო დავალებებიც” ეძლევათ.

თერაპიის  
სპეციალის-  
ტე

ჯგუფური თერაპია მოიცავს 14-15 სესიას. თითოეული სესია დაახლოებით 1-1,5 საათი გრძელდება.

ვისთვისკა  
თვრაპიდ  
ანესზღვრუ-  
ლი?

მოცემული თერაპიის კურსი განსაზღვრულია მშობლებისთვის, რომელთა 4-დან 12 წლამდე ასაკის შვილებიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლის გახდნენ, მიუხედავად იმ ფაქტისა, ძალადობა გარეშე პირისგან იქნა განხორციელებული თუ ოჯახის წევრისგან.

ამცაოლება  
უარესა

თერაპიაში მონაწილეობა, პრინციპში, ნებისმიერ მშობელს შეუძლია (გარდა, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მოძალადე მშობლისა). არსებობს რამდენიმე ზოგადი “უაუჩვენება” და ისინი ქვემოთაა ჩამოთვლილი, მაგრამ ნუ მიიღებთ ამ სიას კანონად. ამ პირობებიდან უმეტესობა მაინც დასაშვებია, ოდონდ მცირე დოზით.

თითოეულ უაუჩვენებას შესაბამისი განმარტება მოსდევს.

უარესება

- სერიოზული ფსიქოპათოლოგიური პრობლემა;
- ალკოჰოლზე ან ნარკოტიკებზე დამოკიდებულება;
- ახალგაზრდობაში განცდილი სექსუალური ან სხვა სახის ძალადობა;
- ძალადობის ფაქტის უარყოფა;
- შვილისადმი უნდობლობა;
- მკაცრი, თავშეკავებული შეხედულებები;
- როცა მშობელს არ შეუძლია შვილი თერაპიაზე დაუშვას;
- შერი შვილის მიმართ;
- სერიოზული ოჯახური უთანხმოება.

უარესება  
არეალურება

ფსიქოპათოლოგიური პრობლემის მქონე მშობელს გაუჭირდება ჯგუფთან ერთად მუშაობა. მას საკუთრივ დასჭირდება ესა თუ ის ინდივიდუალური დახმარება, ხოლო მის შემცვლელად შესაძლებელია მოიძებნოს სხვა პიროვნება, ვინც ბავშვს მშობლობას უწევს.

ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებულება, თავისთავად ცხადია, სერიოზული უაუჩვენებაა.

მშობელს თუ ახალგაზრდობაში თავად აქვს განცდილი სექსუალური ან სხვა სახის ძალადობა, შვილის მიერ განცდილი მსგავსი რამ შეიძლება მისთვის მრავალი არასასურველი, “მივიწყებული” ემოციის გამოვლინების მიზეზი გახდეს. შესაბამისად, მშობლისთვის ამგვარი მონაწილეობა თერაპიაში ძნელი იქნება, არა მსხვერპლის, არამედ მშობლის სტატუსით და იგი ვერც შვილის აღმოუჩნას სათანადო მხარდაჭერას.

ასეთ მშობელს საკუთრივ დასჭირდება ინდივიდუალური დახმარება, ხოლო მის შემცვლელად უნდა მოიძებნოს სხვა პიროვნება, ვინც ბავშვისთვის მშობლის ტოლფასია.

თუ ეს პირობა წინასწარ არ იქნა გარკვეული და აღმოჩნდა, რომ მშობელი თერაპიაზე საკუთარი სულიერი ტრავმის ირგვლივ ტრიალებს, იგი ჯგუფს უნდა გამოეთიშოს. ჯგუფის წამყვანებმა ტაქტიკურად, მაგრამ გარკვევით უნდა აუხსნას ეს მშობელს და მას რამე აღტერნატული თერაპია შესთავაზოს.

თუმცა, მრავალი მშობელი სწორედ ამ გამოცდილების წყალობით კარგად ახერხებს გაიაზროს შვილის მდგომარეობა და კიდევ ხელი შეუწყოს მის რეაბილიტაციას. ისინი შვილის ინტერესებიდან გამომდინარე დროებით უკანა პლანზე წევენ საკუთარ ტრავმას და თერაპიაშიც მონაწილეობენ როგორც მშობელი და არა როგორც მსხვერპლი.

ცხადია, მათ ჯგუფური მუშაობის პარალელურად დამატებითი ინდივიდუალური მიღორგა დასჭირდებათ. ძალადობაგანცდილ მშობლებს დიდი პოტენციალი აქვთ, რომ პირველ რიგში შვილის ინტერესებიდან იმოქმედონ. ამიტომ ისინი საკუთრივ დახმარება-საც იმსახურებენ.

მშობლები, რომლებიც უარყოფენ ძალადობის ფაქტს, მონაწილეობას ვერ მიიღებენ ჯგუფურ თერაპიაში. მათი საქციელი ხელს შეუშლის ჯგუფის მუშაობას და, რაც ყველაზე მთავარია, შვილის რეაბილიტაციას. ამიტომ მათ ინდივიდუალური კონსულტაციები დაჭირდებათ.

მშობლები ხშირად მერყეობენ და არ ენდობიან შვილს, თუნდაც რომ მოძალადე გამოვლენილი იყოს. ეს არაა სერიოზული უპარენება, ჯგუფთან ერთად მუშაობის წყალობით მათ, როგორც წესი, მერყეობა უქრებათ და შვილისადმი ნდობასაც იბრუნებენ.

მშობელს თუ სქესობრივ საკითხებთან დაკავშირებით მკაცრი, თავშეკავებული შეხედულებები აქვს, მას გაუჭირდება ჯგუფურ თერაპიაში მონაწილეობა, სადაც სექსუალური ძალადობა, ხშირად არცთუ ზრდილობიანი, ცივილური ტერმინების გამოყენებით განიხილება.

თუ მშობელს არ შეუძლია შვილი თერაპიაზე დაუშვას, მაშინ თერაპია მისთვისაც აზრს მოკლებული იქნება.

თუ მშობელი “შურიანობას” ავლენს იმის გამო, რომ შვილის სულიერ ტრავმას ამდენი ყურადღება ეთმობა, მაშინ როცა მისი სულიერი ტრავმა თავის დროზე “არაფრად ჩააგდეს”, მისი როლი შვილის რეაბილიტაციის პროცესში შეიძლება არასასურველი აღმოჩნდეს. თუმცა, მცირე დოზით მისაღებია “თეთრი შური”.

თუ თერაპიაში ორივე მშობელი მონაწილეობს, რომელთა შორისაც სერიოზული უთანხმოებაა, ამან შეიძლება ჯგუფის მუშაობას და შვილის რეაბილიტაციასაც ხელი შეუშალოს. ხშირად ისეც ხდება, რომ თავად შვილის თავს დატრიალებული უბედურება არღვევს (დროებით) ოჯახურ იდილიას, განსაკუთრებით კი სქესობრივ პარმონიას მშობლებს შორის. ამიტომ ეს ერთ-ერთი განხილვის საგანი უნდა იყოს.

## ეპოგების საიდეა

სასურველია, მშობელთა ჯგუფური თერაპია ბავშვთა თერაპიის პარალელურად იმართებოდეს. ის ფაქტი, რომ დედა, ან მამა, შვილის მსგავსად თერაპიაზე დადის, ბავშვისთვის მაგალითია იმის, რომ ამაში ცუდი არაფერია, რომ იგი არაა მარტო და მისი პრობლემა მთელი ოჯახის პრობლემაა. ბავშვისთვის ასევე ნათელი ხდება, რომ იგი არაა “დამნაშავე” და ოჯახური სიმყუდროვის აღდგენაც მხოლოდ მის კისერზე არ უნდა გადადიოდეს.

თუმცა რეალურად ძნელი იქნება მშობელთა და ბავშვთა სესიების ერთდროულად ჩატარება. ბავშვები დღის განმავლობაში უნდა შეიკრიბონ, მშობლებს კი მეტწილად სამუშაო საათების შემდეგ სცალიათ.

გირჩევთ, მშობელთა თერაპია ბავშვთა თერაპიამდე ერთი კვირით ადრე დაიწყოთ, რათა მშობლები პირველივე სესიიდან დაბრუნებულ შვილს უკვე მომზადებული შეხვდნენ.

## საიდის ესელებო- გისეს

თითოეული სესია მითითებული თანმიმდევრობით უნდა ჩატარდეს. თუმცა თანმიმდევრობა შეგიძლიათ საჭიროებისამებრ შეცვალოთ. მთავარია, საწყისი და ბოლო ფაზები შეინარჩუნოთ.

დასაწყისისთვის შესთავაზეთ მონაწილეებს ჩაი, ყავა და მოკლედ გამოიკითხეთ გასული კვირის ამბები. სესიის დასასრულს კი ყოველთვის ახსენეთ, რა იქნება მომდევნო კვირის თემა.

თითოეული სესია ერთ კონკრეტულ თემას ეძღვნება. თემის განხილვისას სიტყვა მიეცით თითოეულ მშობელს.

სახელმძღვანელოში დახრილი შრიფტით წერია ფრაზები, რომლე-

ბიც თერაპევტმა უნდა გადასცეს მონაწილეებს. თუმცა სათქმელი, ცხადია, საკუთარი სიტყვებითაც შეგიძლიათ გადმოსცეთ, მთავარია, იგი დამსწრეთათვის გასაგები იყოს.

## საეპარტო კონფიდენციალურობა

მსგავსად ბავშვებისა, სავარჯიშოთა კრებული მშობლებისთვისაც არსებობს. გამოყავით თითოეულ მონაწილისთვის ცალკე საქაღალდე (ან დაავალეთ, თავად იყიდონ ის). საქაღალდეში ისინი სავარჯიშოთა კრებულის ფურცლებს შეინახავენ, რომლებსაც თქვენ ყოველ სესიაზე დაურიგებთ. მშობლები თავად ინახავენ საქაღალდეს და ყოველ სესიაზე თან დააქვთ იგი.

## ეორებული

სანამ ჯგუფურ თერაპიას შეუდგებოდეთ, აუცილებლად გადაიკითხეთ და შეისწავლეთ წინამდებარე სახელმძღვანელო და სავარჯიშოთა კრებული. მასთან ერთად ბავშვების სავარჯიშოთა კრებული და სახელმძღვანელოც.

## კოროლინ- ება

მუდმივი კავშირი იქონიეთ ბავშვთა თერაპიის წამყვანებთან. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ თქვენ და ბავშვთა თერაპიის წამყვანები შეთანხმებულად მოქმედებთ.

## თერაპიაური

თერაპიას ორი თერაპევტი უძღვება, სასურველია მამრობითი და მდედრობითი სქესისა, მითუმეტეს თუ დამსწრე მშობლებში მამებიც არიან. ერთ-ერთი თერაპევტი გამოცდილი ფსიქოლოგი უნდა იყოს, რომელსაც უმუშავია ჯგუფებთან. დასაშვებია, რომ მეორე იყოს სტაჟიორი ან დამწყები ფსიქოლოგი.

## გეოცენტრული თერაპიაური რეაქცია:

- ზოგჯერ, როცა ერთ-ერთი მშობელი თავადაა მოძალადე, მისი მეუღლე, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ოჯახის შენარჩუნებას ამჯობინებს. ეს სხვა მშობლებში უკმაყოფილებას იწვევს და ისინი ამას ხშირად კიდეც გამოხატავენ აგრესიულად. შედეგად მშობელი, რომელმაც ვერ დათმო მოძალადე მეუღლე, შეიძლება ჯგუფიდან გარიყელი აღმოჩნდეს. ამას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოთ და დაიცვათ ადამიანის არჩევანის უფლება;
- შვილებზე საუბრისას დედებს ჩვევიათ აქტიურობა. მამები პირიქით, ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ. “შვილისთვის დედა მთავარი, მამა ხომ სულ სამსახურშია...”. ამიტომ მამებს აქტიურობისკენ უნდა უბიძოთ და შეახსენოთ, რამხელა როლი მიუძღვით შვილის რეაბილიტაციის პროცესში.



## 1-ლი სასიპ. შესეპლი

1-ლი ფაზა: გაცნობა

დაიწყეთ სესია ჩათ და ყავით. თერაპევტები მონაწილეებს თავს წარუდგენენ და თხოვენ, ისინიც გაეცნონ ჯგუფს. მშობლებს შეუძლიათ დაფარონ გვარი და მხოლოდ სახელით წარუდგნენ ერთმანეთს, ან უბრალოდ როგორც “ამა და ამ ბავშვის დედა, ან მამა”. ეს გასაგებიცაა – მომხდარი ამბების შემდეგ ხომ მეტისმეტად ხმაურდება ხოლმე მათი ოჯახური სიტუაცია.

მე-2 ფაზა: რა არის სავარჯიშოთა კრებული

დაათვალიერებინეთ ჯგუფს სავარჯიშოთა კრებული. მასთან ერთად ბავშვთა სავარჯიშოთა კრებულიც. განმარტეთ, რომ მონაწილეებს ყოველ სესიაზე ცალკეული ფურცლები დაურიგდებათ, რაც სესიის შემდეგ მათთან რჩება.

ჩამოარიგეთ საქაღალდეები ან თხოვეთ მშობლებს, რომ შემდეგი სესიისთვის შეიძინონ და თან იქონიონ ამგვარი საქაღალდეები.

პირველი სესიისთვის დაარიგეთ ფურცლები № 1.1, 1.2, 1.3, 1.4, 1.5 და 1.6.

ხმამაღლა წაიკითხეთ ფურცელი №1.1. მშობლებს შეუძლიათ თვალი ადევნონ ტექსტს.

### ფურცელი 1.1

**ძვირფასო მშობლებო,**

როგორც თქვენი შვილებისთვის, ჩვენ თქვენთვისაც შევადგინეთ ეს კრებული. ჩვენ გვესმის, რომ მშობელს მრავალი კითხვა და საზრუნავი უნდება, როცა მისი შვილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება. ამიტომ შევეცდებით ამ კრებულში პასუხი გავცეთ თქვენს კითხვებს.

კითხვები კი, ბუნებრივია, მრავალი გაგიჩნდებათ. ამიტომ ისინი სჯობს ჩაიწეროთ და ჩვენ შეერებებზე დასვათ ხოლმე. ჩვენ, თერაპევტებმა თუ ამომწურავი პასუხი ვერ გავეციოთ ყველა თქვენს კითხვას, იქნებ ერთობლივად ჯგუფთან ერთად მოგნახოთ გამოსავალი.

ჩვენს კრებულში საკმარისი ადგილი დაეთმობა თქვენს პირად აზრს და გამოცდილებას, თუ როგორ იქცევით ამა თუ იმ როულ სიტუაციაში. ზოგჯერ თუ ჩვენგან მიიღებთ მზამთარეულ რჩევებს, ზოგჯერ თქვენვე დაგავალებთ, საშინაო დავალების მსგავსად, მოიფიქროთ და დაწეროთ თქვენი საკუთარი მეთოდები და აღმოჩენები, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ თერაპიის მსვლელობისას გავარჩევთ ამა თუ იმ საკითხს ყველა ერთად. ამასაც, ცხადია, თქვენს კრებულში ჩაიწერთ.

შეავსებინეთ ჯგუფს №1.2 ფურცელი. ეს ფურცელი შეგიძლიათ წინასწარ თავადაც შეავსოთ.

### ფურცელი 1.2

#### ძირითადი ინფორმაცია

მშობლების ჯგუფი იქრიბება კვირაში ერთხელ დათქმულ

დღეს: .....

საათზე: .....

ადგილზე: .....

ამა თუ იმ მიზეზის გამო თუ ვერ ახერხებთ შეცრებაზე მოსვლას, დარეკეთ  
და გაგვაფრთხილეთ წინასწარ შემდეგ ნომერზე: .....

ჯგუფის ხელმძღვანელები არიან:

..... და .....

#### მე-3 ფაზა: თერაპიის დანიშნულება

სმამადლა წაიკითხეთ ფურცელი №1.3.

### ფურცელი 1.3

#### რისთვისაა ჯგუფური თერაპია გამიზნული?

ჩვენი ჯგუფური თერაპია დაგეხმარებათ საკუთარი შეილების დახმარებაში. სექსუალური ძალადობა არაა ისეთი რამ, რასაც ბავშვი ადვილად იყიდებს, ამიტომ მას ჯგუფურ თერაპიაზე სიარულის პარალელურად მშობლების გულისხმიერება და მხარდაჭერა სჭირდება.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ მშობლების მხარდაჭერით ბავშვებს გაცილებით ადვილად გადააქვთ ეს ტრაგედია. ამიტომ, მშობელთა ჯგუფური თერაპიის მიზანიც სწორედ ისაა, რომ დაგეხმაროთ და გასწავლოთ, როგორ შეუწყოთ ხელი თქვენს შეილებს, როგორ მიიღოთ და დაძლიოთ ესა თუ ის არასასურველი გამოვლინება მათ საქციელში; და რაც ყველაზე მთავარია, როგორ აღიდგინოთ ოჯახური სიმშვიდე და იდილია. ძალადობას ბავშვი ვერ დაივიწყებს, მაგრამ თქვენი დახმარებით მას ექნება შესაძლებლობა, რომ კვლავ ბედნიერი იყოს.

მშობლის როლი გადამწყვეტია შეილის რეაბილიტაციაში.

## რისთვის არაა ჯგუფური თერაპია გამიზნული?

ზოგი მშობელი იმიტომ ეწერება ჯგუფურ თერაპიაზე, რომ წარსულში თავადაც ძალადობის მსხვერპლი იყო. ძველად ამას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება და გასაგებია, რომ შვილზე განხორციელებულმა ძალადობამ მწარე მოგონებები გამოაღვიძოს. მაგრამ გახსოვდეთ – ჩვენი თერაპია არაა გამიზნული მშობლის რეაბილიტაციაზე. ასეთ შემთხვევაში გირჩევთ წინასწარ გაესაუბროთ ჯგუფის ხელმძღვანელებს, ისინი აუცილებლად რამე ალტერნატიულ თერაპიას შემოგთავაზებენ. ჩვენი თერაპია ასევე არაა გამიზნული მშობელთა შორის ურთიერთობის პრობლემების მოგვარებაზე. ცხადია, ისეც ხდება, რომ შვილის ტრაგედია მშობლების ურთიერთობას სერიოზულ გამოცდას უწყობს და შეიძლება მას ძირიც კი გამოუჟოსაროს. ამაზე, ბუნებრივია, საუბარი იქნება თერაპიის მსვლელობისას.

თუ თქვენ გაწუხებთ ესა თუ ის კითხვა, მაგრამ დარწმუნებული არ ხართ, რომ იგი ჯდება ჯგუფური თერაპიის ჩარჩოებში, მიმართეთ ჯერ ჯგუფის ხელმძღვანელებს.

\* წინასწარ გაარკვიეთ, სად შეიძლება აღმოუჩინონ ალტერნატიული დახმარება მათ, ვისაც ეს სჭირდება (თქვენი თერაპიის პარალელურად თუ მისი დასრულების შემდეგ). სასურველია, თუ ამის საშუალება თქვენსავე დაწესებულებას ექნება.

საზგანით აღნიშნეთ ერთი რამ: ამა თუ იმ მშობელს შეიძლება ფიზიკურად თუ ემოციურად გაუჭირდეს ჯგუფში მონაწილეობა და იძულებული გახდეს, თერაპიას გამოეთმოს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი თქვენი მხრიდან მოკლებული იქნება მხარდაჭერას და კონსულტაციას.

### მე-4 ფაზა: მშობლის როლი გადამწყვეტია!

დაგჭირდებათ: თაბახის ფურცლები, მარკერები (ფლომასტერები).

დააწერინეთ მშობლებს თაბახის ფურცლებზე დიდი ასოებით: “ჩემი როლი გადამწყვეტია შვილის რეაბილიტაციაში!” დაკ, ეს ფურცლებიც საქაღალდეში შეინახონ სავარჯიშოთა ფურცლებთან ერთად.

### მე-5 ფაზა: თერაპიის წესები

დაავალეთ ჯგუფს, შინ ყურადღებით წაიკითხონ №1.4 ფურცელზე მოცემული წესები. გამოყავით მე-5 წესი და განიხილეთ იგი შემდეგ ფაზაში (იხ. მე-6 ფაზა).

## ვურცელი 1.4

### თერაპიის წესები

მსგავსად თქვენი შვილების ჯგუფური თერაპიისა, ჩვენთანაც ძალაშია გარკვეული წესები. წესები შემდეგში მდგომარეობს:

1. ერთმანეთს არ გაყენებოთ შეურაცხყოფას და არ გადანაშაულებოთ;
2. ერთმანეთს ლაპარაკს ვაცლით;
3. ლაპარაკი ნებადართულია, თუმცა ყოველთვის არაა სავალდებულო;
4. ერთმანეთს არ დავცინით.
5. სხვებს არ ვუყვებით, რასაც ერთმანეთზე და ერთმანეთის შვილებზე შევიტყობთ;
6. არ ვაცლენთ სესიებს, გარდა გამოუგალი მდგომარეობისა (ასეთ შემთხვევაში ვალდებული ხართ წინასწარ გგაცნობოთ გაცდენის შესახებ);
7. სესიებზე თან დაგვაქვს სავარჯიშოთა კრებული;

წესები შვილის ჯგუფურ თერაპიასთან დაკავშირებით:

8. ნუ მოუსმენთ შვილის მონათხოობს თანაჯგუფელების შესახებ;
9. ნუ გამოკითხავთ, რა და როგორ შეემთხვათ მის თანაჯგუფელებს;
10. ნუ ილაპარაკებთ ნეგატიურად სხვა ბავშვების შესახებ.

### მე-6 ფაზა: ნუოუ ისევ საიდუმლოებები?

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ მათმა შვილებმა ერთგვარი “დუმილის ფიცი” დადეს, რომ არავის გაანდობენ, რასაც სხვა ბავშვების შესახებ მოისმენენ. თუმცა გახსოვდეთ, რომ მშობლისთვის, რომლის შვილიც საიდუმლო ვითარებაში ძალადობის მსხვერპლი გახდა, გამაღიზიანებელია ყოველგვარი საიდუმლო. ამიტომ კარგად განმარტეთ, რისთვისაა ეს საჭირო და ხაზი გაუსვით, რომ ეს წესი მშობლებზეც მოქმედებს.

“დაუშვებელია სხვისი პრობლემების გახმაურება!”

აუსენით მშობლებს მათივე მაგალითზე, რომ ეს წესი მკაცრად უნდა დაიცვან და საჯუთარ შვილებსაც მოთხოვონ მისი დაცვა. ბავშვებს, არათუ სხვა ბავშვების, საკუთარი დაიკოების და ძამიკოების ამბების გახმაურებაც ეკრძალებათ (ეს იმ შემთხვევაში, თუ ერთი ოჯახიდან ორი ან მეტი ბავშვი მოხვდა ძალდობის მსხვერპლთა ჯგუფში).

### მე-7 ფაზა: როცა შვილი თერაპიიდან შინ ბრუნდება

თხოვეთ მშობლებს, დაფიქრდნენ და რიგ-რიგობით უამბონ ჯგუფს, თუ როგორ სურთ

(ან არ სურთ), რომ შეხვდნენ ოჯახის წევრები, როცა თერაპიიდან შინ დაბრუნდებიან. ნუ დაიწუნებთ ნურცერთ აზრს, უბრალოდ ხაზი გაუსვით, რაოდენ განსხვავებულია თითოეული მონაწილის სურვილი და რომ ეს ასეა მათი შვილებისთვისაც.

სმამაღლა წაიკითხეთ ფურცელი №15. დასტინეთ თქვენის მხრივ შემდეგი:

მართალია, ბავშვთა ჯგუფურ თერაპიას მეტწილად თამაშის სახე აქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მთლიანად სახალისო პროცესია. ამიტომ ბავშვი ცოტა მაინც “აზრზე უნდა მოვიდეს”, სანამ თერაპიაზე საუბარს დაიწყებდეს. როგორც წესი, ბავშვი მაშინ იწყებს საუბარს, როცა დაძაბულობა გაუვლის. მაგალითად, როცა აბაზანაში ზის, ან ძილის წინ, ან როცა თქვენი ავტომობილის უკანა სავარძელზეა მოქალათებული და დარწმუნებულია, რომ თვალებში არ უყურებთ.

## ფურცელი 15

როცა შვილი თერაპიიდან შინ ბრუნდება

ცხადია, ყველა მშობელს აინტერესებს, როგორ ჩაიარა სესიამ, როცა შვილი შინ ბრუნდება. თუმცა, ბავშვებს უმეტეს შემთხვევაში არ სურთ პირდაპირ სესიაზე საუბარი. ზოგი დაღლილია, ზოგიც გაბრაზებული ან ნაღვლიანი და ურჩევნიათ, თუ თავს გაანებებთ. ბავშვი მოგვიანებით თავად გიამბობთ ქველაფერს, რაც აწესებს.

ამიტომ ნუ დაუსვამთ ასეთ შეკითხვებს:

- კარგი დრო გაატარეთ თერაპიაზე?
- როგორ ჩაიარა თერაპიამ?
- აბა, დღეს რას აკეთებდით თერაპიაზე?

პკითხეთ ამის ნაცვლად:

– რა კარგია, რომ მოხვედი. ხომ არ გშია? – და მოეფერეთ.

მოგვიანებით კი შეგიძლიათ სცადოთ საუბრის წამოწყება. დაათვალიერებინეთ თქვენი სავარჯიშოთა კრებულით და უამბეთ, რას აკეთებდით თავად თერაპიაზე, რა თემაზე საუბრობდით, რაზე გაგიძნელდათ საუბარი და ა. შ.

ოდონდ გახსოვდეთ – ნუ ილაპარაკებთ სხვა მშობლების შესახებ!

აუსესენით შვილს, რომ გასაგებია, რატომ არ სურს პირდაპირ თერაპიაზე საუბარი და თხოვეთ, არ მოერიდოს, თუ საუბრის სურვილი გაუწნდება.

არ გაგიკვირდეთ, თუ თქვენი შვილი გაცილებით მეტს იღაპარაკებს სხვებთან, ვიდრე თქვენთან. ასეთი რამ ხშირად ხდება და არა იმიტომ, რომ შვილი არ გენდობათ, არამედ იმიტომ, რომ მსგავსი საშინელი ამბების მოყოლა გაცილებით ადვილია მათთან, ვისაც ადამიანი კვირაში ერთხელ ხედავს და მეტჯერ არა. ბავშვებს არ უყვართ “საკუთარი ბუდის დაბინძურება” – შინ თუ საშინელ ამბებზე დაიწყე ლაპარაკი, მაშინ გამოდის, რომ საკუთარი სახლიც ადარ ყოფილა უსაფრთხო ადგილი.

ეს ნებ შეგაშფოთებთ. ადრე თუ გვიან, მოვა დრო, როცა შვილთან ერთად ყველაფერზე ისაუბრებთ.

**მუ-8 ფაზა: საშინაო დავალება.** “ყველაზე მძიმე პრობლემა, რაც ჩემს შვილთანაა დაკავშირებული”.

დაავალეთ მშობლებს, რომ მომდევნო სესიისთვის №1.6 ფურცელზე დაწერონ მათ შვილებთან დაკავშირებული ყველაზე მძიმე პრობლემები და აგრეთვე ის, თუ რა გზებით უმკლავდებიან ამ პრობლემებს (ან რის გაკეთებას ისურვებდნენ მათ გასამკლავებლად).

## ურცელი 1.6

### საშინაო დავალება

ყველაზე მძიმე პრობლემა, რაც ჩემს შვილთანაა დაკავშირებული

ჩამოწერეთ თქვენს შვილთან დაკავშირებული ყველაზე მძიმე პრობლემები. იქვე მიაწერეთ, რა გზებით უმკლავდებით მათ, ან რის გაკეთებას ისურვებდით.

ყველაზე მძიმე პრობლემები

.....  
.....  
.....

როგორ ვუმკლავდებით

.....  
.....  
.....

**მუ-9 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.

## ე-2 სეიქ. თევანე შეიღებაზე დამატებითი პროგლოგი

1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. წინასწარ განსაზღვრეთ, რა დრო უნდა დაუთმოთ სესიის მოცემულ ფაზას. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 2.1, 2.2, 2.3 და 2.4.

მე-2 ფაზა: საშინაო დავალების შემოწმება

დაგჭირდებათ: მოზრდილი ფურცლები, №1.6 ფურცლები, (ლურჯი ფერის) ფლომასტერები, 1 წითელი ფლომასტერი.

გაშალეთ მაგიდაზე მოზრდილი ფურცელი და ჩამოაწერინეთ ზედ მშობლებს ყველა ის პრობლემა, რა საშინაო დავალებაში ექნებათ მითითებული. თხოვეთ, ლაკონურად დაწერონ. მაგალითად, თუ საშინაო დავალებაში უწერიათ: “რასაც ვეუბნები, არაფერი არ ესმის”, ფურცელზე დაწერონ: “შეუსმენლობა”.

დაუთმეთ ამ პროცესს მაქსიმუმ 5 წუთი. შემდეგ მოიმარჯვეთ წითელი მარკერი და შეამოწმეთ, რა დაწერეს. ოქვენი დავალებაბა, გამოარჩიოთ, რომელი პრობლემაა უშეალოდ ძალადობის შედეგი და რომელი არა. ამ პროცესს “რედუქცია” (იგივე “გამოხშირვა”) ეწოდება. მშობლებს ჩვევიათ მიაწერონ ყველა პრობლემა შვილის მდგომარეობას, რომელშიც იგი ძალადობის შედეგად იმყოფება. თითქოს ბავშვი მანამდე “ანგელოზი” იყო, ახლა კი “ტარტაროზად” იქცა.

ამიტომ გამოიკითხეთ, როდიდან აღინიშნება მითითებული პრობლემები, ძალადობის შემდგომი პერიოდიდან თუ მანადე. გამოყავით ჩვენთვის საინტერესო პრობლემები, სადაც საჭიროა, დააჯგუფეთ საერთო ნიშნის ქვეშ და დანომრეთ. შემდეგ გადაწერეთ მეორე ფურცელზე და შეინახეთ იგი მე-12 სესიისთვის.

მე-3 ფაზა: როგორ მოვიქცეთ მომავალში?

დაგჭირდებათ: თაბახის ფურცლები, ბურთულიანი კალმები.

ეს სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს კოლექტიურად მთელი ჯგუფის მიერ, ან წყვილ-წყვილად.

დაავალეთ მშობლებს, განიხილონ და მოიფიქრონ მათ მიერ მითითებულ პრობლემათა გადაჭრის გზები. ეს ძალიან სასარგებლო პროცესია, მშობლები ძალიან ბევრს რამეს შეიტყობენ და ისწავლიან ერთმანეთისგან. შემდეგ შეაჯერეთ განხილვის შედეგები (თუ განხილვა წყვილ-წყვილად ჩატარდა, თითოეულმა წყვილმა დანარჩენ ჯგუფს უნდა

გააცნოს მათი აზრი). დააგალეთ თითოეულ მშობელს (ან წყვილს), რომ მომდევნო კვირის მანძილზე იმუშავონ მხოლოდ ერთ კონკრეტულ პრობლემაზე და ყველაფერი ჩაიწერონ №2.1 ფურცელზე.

## ფურცელი 2.1

**თქვენს შეილთან დაკავშირებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, რომლებიც ჯგუფთან ერთად იქნა განხილული**

დაწერეთ, რა მეთოდები განიხილეთ ჯგუფთან ერთად:

.....

აღწერეთ, რა შედეგი იქონია ჯგუფთან ერთად განხილულმა მეთოდებმა.

რაში მდგომარეობდა პრობლემა? .....

რა იღონეთ? .....

როგორია შედეგი? .....

ფურცელი №2.2 მშობლებმა წაიკითხონ შინ.

## ფურცელი 2.2

### შექმება

პოზიტიური ყურადღების ძალა

ბევრმა მშობელმა არ იცის, რა ძალა აქვს პოზიტიურ ყურადღებას შვილის საქციელი სადმი. პოზიტიური ყურადღებაა, როცა შვილი კარგად მოიქცევა, ან ცუდ საქციელს მოიშლის და თქვენ შეაქებთ.

დაიმასსოვრეთ შემდეგი წესები:

- ამოირჩიეთ შვილის რომელიმე კონკრეტული საქციელი, რომლის გამოსწორებასაც ისურვებდით;
- შეაქეთ მაშინვე, როგორც კი კარგად მოიქცევა, ან როცა გარკვეულ სიტუაციაში ცუდად არ მოიქცევა;
- შეაქეთ თქვენთვის მოსაწონი საქციელი ყოველ ჯერზე, ხოლო ცუდ საქციელზე ნუ გაჯავრდებით, არამედ ღიმილით მიეცით მსუბუქი შენიშვნა, მაგალითად, “აჲ, ეს ცუდი საქციელია”.

- აუხსენით, რისთვის აქებთ ბავშვებს. მაგალითად: “ყოჩად, რომ დაიკოს შენი სათამაშოები ათხოვე”, და არა უბრალოდ “ყოჩალ”.
- შექებისას ნუ გაავლებთ პარალელს სხვა ნეგატიურ საქციელთან. ნუ იტყვით: “კარგი გოგონა ხარ, რომ შენთვის თამაშობდი და დედიკარ შეაწუხე, როცა სტუმრები გვყავდა. ნეტავ, ყოველთვის ასე იქცეოდე”. ეს ბოლო წინადადება ზედმეტია.
- შეაქეთ გულით, ოდონდ ნუ გადააჭარბებთ. ბავშვი ადვილად გრძნობს, თუ რამეს მოვალეობის მოხდის მიზნით აკეთებთ.
- აუცილებელი არაა, ბავშვი უნაკლოდ მოიქცეს. იგი შექებას იმსახურებს მაშინაც, როცა ცდილობს, კარგად მოიქცეს.

### **შენიშვნა:**

ზოგი მშობლისთვის ყველაზე მძიმე პრობლემაა შვილის პირიდან სექსუალური შინაარსის გამონათქამების მოსმენა ან მისი ასაკისთვის შეუფერებელი სექსუალური საქციელის გამოვლინება. ჩვენ გვიმუშავია ჯგუფებთან, სადაც ამ პრობლემაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი, მაგრამ თუ ეს საკითხი წამოიჭრა, მაშინ გამოგადგებათ ამ სახელმძღვანელოს ბოლოში შეტანილი რიგგარეშე X სესია. მშობლების სავარჯიშოთა კრებულშიც შეტანილია შესაბამისი სავარჯიშო ფურცლები.

### **მე4 ფაზა: რამდენად ვიცნობ საკუთარ შვილს?**

დააწერინეთ ჯგუფს №2.3 ფურცელზე მოცემული სავარჯიშო. შეადარეთ პასუხები და მოახდინეთ იმის დემონსტრირება, თუ რამდენად განსხვავებულია თითოეული ბავშვი. გახსოვდეთ, მითითებული სიმპტომებიდან არცერთი არაა მეორეზე უკეთესი ან უარესი!

### **შენიშვნა:**

ზოგმა მშობელმა შეიძლება ასეთი რამ დაწეროს: რითი ვხვდები, როცა ბავშვი ბრაზობს? – როცა “მამამისივით” აკეთებს ამას თუ იმას. თუ ამ შემთხვევაში მამა მოძალადეა, აუცილებლად გაარკვიეთ, ხომ არ ეუბნება მშობელი ამას ბავშვებაც (“მამაშენივით ნუ იქცევი!”). ასეთი კომენტარი ბავშვისთვის ძალიან მტკიცნეულია.

სავარჯიშოს შესრულების შემდეგ №2.3 ფურცლები თქვენთან რჩება მომავალი სესიისთვის.

## უურცელი 2.3

### სესიაზე გასაკეთებელი საგარჯიშო

#### რამდენად ვიცნობ საკუთარ შეილს?

1. რითი ვხვდები, როცა ბავშვი წუხები?
2. რითი ვხვდები, როცა ბავშვს უხარია?
3. რითი ვხვდები, როცა ბავშვს ეშინია?
4. რითი ვხვდები, როცა ბავშვი ბრაზობს?
5. რითი ვხვდები, როცა ბავშვი გაუბედავია?
6. რითი ვხვდები, როცა ბავშვი ნაღველიანია?
7. რითი ვხვდები, როცა ბავშვს შერიანობს?
8. რითი ვხვდები, როცა ბავშვი ნერვიულობს?
9. რითი ვხვდები, როცა ბავშვი თავს მარტო გრძნობს?
10. რითი ვხვდები, როცა ბავშვი არ არის დაძაბული?

**მე-5 ფაზა:** საშინაო დაგალება. “ჩემი შეილის ემოციები”

აუხსენით ჯგუფს საშინაო დაგალების შინაარსი:

— მომდევნო პვირის განმავლობაში დააკვირდით თქვენი შეილების ემოციებს. ყოველ საღამოს ჩაინიშნეთ №2.4 ფურცელზე, რა ემოცია შენიშნეთ და რა ფორმით.

## უურცელი 2.4

### საშინაო დაგალება

მომდევნო პვირის მანძილზე დააკვირდით თქვენი შეილის ემოციებს და შემოხაზეთ ქვემოთ, რასაც შენიშნავთ:

წუხილი	სიხარული	შიში	ბრაზი	გაუბედაობა
სევდა	შერი	თავდაჯერებ-ბულობა	მარტოობა	დაუძაბაობა

აღწერეთ, რა ნიშნებით ხვდებით ბავშვის ამა თუ იმ ემოციას. აღწერეთ მინიმუმ 2 ემოცია, თუმცა თუ გნებავთ, შეგიძლიათ მეტი მაგალითიც მოიყვანოთ:

როცა ბაგშვი	.....	0გ0	.....
როცა ბაგშვი	.....	0გ0	.....
როცა ბაგშვი	.....	0გ0	.....
როცა ბაგშვი	.....	0გ0	.....
როცა ბაგშვი	.....	0გ0	.....

#### **მე-6 ფაზა: რა იქნება ბაგშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.



## ეუ-3 სესია. ბრძოლები

**1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?**

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი.

შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 3.1 და 3.2.

**2-ე ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი**

მშობლები რიგრიგობით აქეთებენ მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამბობენ, როგორ მიმდინარეობს მათ «სამიზნე პრობლემებთან» ბრძოლა. მეთოდი თუ ჭრის, ჩინებულია, თუ არადა, მიეცით მშობლებს კიდევ გარკვეული დრო – სერიოზული პრობლემის გადასაჭრელად ხომ ერთი კვირა ძალიან მცირე დრო! – და მოილაპარაკეთ, როდის შეიძლება ალტერნატიული მეთოდების მოსინჯვა.

**3-ე ფაზა: საშინაო დავალების შემოწმება**

მშობლები რიგრიგობით აცნობენ ჯგუფს საშინაო დავალების შედეგებს (ფურცელი №2.4): რა ემოციები შენიშნეს შვილის საქციელში და რა ფომით. ამ პროცესისთვის ხელთ იქონიეთ წინა სესიაზე შესრულებული №2.3 სავარჯიშოები. როგორც წესი, №2.4 სავარჯიშოს შედეგები გარკვეულწილად განსხვავდება ხოლმე №2.3-ის შედეგებისგან. მოახდინეთ ამის დემონსტრირება და აღნიშნეთ, რომ ხშირად ვცდებით, როცა გვგონია, რომ კარგად ვიცნობთ ჩვენი შეიღების ხასიათს.

აქვე შეგიძლიათ გაიმუროთ პრობლემათა რედუქციის პროცესი, რამეთუ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ბავშვებს არცოუ ისე ხშირად ახასიათებთ ცუდი საქციელი.

**4-ე ფაზა: ვისთვისაა საჭირო, რომ იცოდეს, რა შეემთხვა ჩემს შვილს?**

დაგჭირდებათ: დაფა, მარკერები, ბურთულიანი კალმები.

ამ სავარჯიშოს დახმარებით მშობლებს უნდა ვაჩვენოთ, ვისთან შეიძლება და ვისთანაა აუცილებელი მომხდარის შესახებ საუბარი. ზოგი მშობლისთვის წარმოუდგენებლია ასეთი ამბის გახმაურება, ზოგს კი პირიქით, არ შეუძლია ამის გულში ჩაკვლა.

გამოიყითხეთ და ჩამოწერეთ დაფაზე, ერთ მხარეს – ვინ უნდა იცოდეს, მშობლების აზრით, მომხდარის შესახებ, ხოლო მის გასწვრივ – რატომ.

გახსოვდეთ, რომ:

- მრავალ მშობელს ეშინია, რომ მის შვილს “სხვანაირად შეხედავენ, მისი ამბავი თუ შეიტყო ხალხმა”;
- მშობლები ერიდებიან სკოლაში გახმაურებას, “მასწავლებლები შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ”;
- უჯრობესია, მასწავლებლებმა იცოდნენ, რა მოხდა, რადგან ბავშვის მოსწრებამ და

- სიბეჭითები შესაძლებელია იქლოს;
- თავად თერაპია საკმაოდ დამღლელი პროცედურაა, ამიტომ ბავშვის სიბეჭითებები ისიც მოქმედებს. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, რომ მასშავლებლებთან ყველაზე გარეშეული იყოს.

ამის შემდეგ, დავ, მშობლებმა №3.1 ფურცელზე საკუთარი სია შეადგინონ.

### ურცელი 3.1

**ვისთვისაა საჭირო, რომ იცოდეს, რა შეემთხვა ჩემს შვილს?**

ვინ?

.....  
.....  
.....

როდის?

.....  
.....  
.....

შეთანხმდით, როდის და რა ფორმით ილაპარაკებენ ისინი მათთვის მნიშვნელოვან პირებთან.

გაითამაშეთ ერთგვარი რეპეტიცია. ერთი მშობელი შეასრულებს ბებიის, სკოლის დამრიგებლის ან ექიმის როლს, მეორე – ჩვეულებრივ, საკუთარ როლს.

აქ სასარგებლო რჩევები ექნებათ გამოცდილ მშობლებს, ვისაც უკვე გაუვლია ეს პროცესი.

**შენიშვნა:** შესთავაზეთ ჯგუფს ერთობლივი შესვედრა სკოლის დამრიგებლებთან. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამგვარი შესვედრის შემდეგ მასშავლებლები აღარ იჩენ ჩავენ მხრებს და აღარც დიზიანდებიან ბავშვის უცნაურ, ამოუხსნელ თუ გულგრილ საქციელზე. კარგი იქნება, თუ ერთობლივი შესვედრა მოეწყობა ყველა მასშავლებლთან. არ გირჩევთ მათთან სატელეფონო კონსულტაციას.

**მე-5 ფაზა:** საშინაო დავალება. “როგორი იყო ჩემი რეაქცია, როცა გავიგვ, რომ ჩემი შეილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო?”

აუხსენით ჯგუფს საშინაო დავალების შინაარსი და დაავალეთ, მომდევნო კვირისთვის შეავსონ №3.2 ფურცელი.

## ურცელი 3.2

საშინაო დავალება

როგორი იყო ჩემი რეაქცია, როცა გავიგე (შევნიშნე, ვიჟკვე), რომ ჩემი შვილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო?

როცა შევიტყვე ჩემი შვილის სექსუალური ძალადობის შესახებ, ჩემი რეაქცია იყო.....

(შემოხაზეთ ოქვენი რეაქცია. შეგიძლიათ თავადაც ჩაამატოთ რამე)

სევდა	ბრაზი	სირცხვილი	მრისხანება	გაოგნება
დაბნეულობა	შოგი	იმედგაცრუება	დანაშაულის გრძნობა	
--	--	--	--	--

ეს რომ შევიტყვე...

ყურებს არ დაგუჭერე

მაშინვე დავიჯერე

დაწერეთ ქვემოთ, თუ რამის დამატება გსურთ:

.....

**მე-6 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.



୧୦-୫ ଲେଖକ. ଶର୍ମିଳା

1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი.

შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 4.1, 4.2 და 4.3.

**მე-2 ფაზა:** როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი  
მშობლები რიგრიგობით აკეთებენ მოკლე მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამბობენ, როგორ  
მიმდინარეობს მათ «სამიზნე პრობლემებთან» ბრძოლა. გადახედეთ წინა სესიების  
ინსტრუქციებს. ამ და მომდევნო სესიებზე ეს მოხსენებები სულ უფრო მოკლე და  
ლაპონური უნდა გახდეს.

მე-3 ფაზა: საშინაო დავალების შემოწმება

მშობლები რიგრიგობით აცნობენ ჯგუფს საშინაო დაგალების შედეგებს (ფურცელი № 3.2): როგორი იყო მათი რეაქცია, როცა გაიგეს, რომ მათი შვილი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო. განიხილეთ განსხვავიბული რეაქციები. ხშირად მშობლები არ ამხედენ ერთ-ერთ უმთავრეს რეაქციას – ბრაზს. ამაზე საუბარი მომდევნო ფაზაში გვქნებათ.

მე-4 ფაზა: ბრაზი

## ხმამაღლა წაიკითხეთ ვურცელი №4.1.

ଓৱেৰাম ১.১

፲፻፭፻

ალბათ უამრავმა გრძნობამ შეგისყროთ, როცა გაიგეთ, რომ თქვენი შვილი სექსუალური მოძალადის მსხვერპლი გახდა. შეიძლება შეშფოთდით, გაოგნდით, სევდამ შეგისყროთ ან დანაშაულის გრძნობამაც კი შეგაწუხა-თ. ცხადია, გაბრაზდებოდით კიდევ. ძალიან გაბრაზდებოდით, რადგან თქმების შვილს ასე მოექცენებ, ასეთი რამ გაყადრებს.

ბევრია ისეთი გრძნობა, რომლის გამოხატვასაც არ მოერიდებით. ვინ რა უნდა თქვას, თუ ასეთ დროს სევდა და ცრემლები მოგაწვებათ. მაგრამ სულ სხვაა ბრაზი. ჩვენ ყოველთვის გვასწავლიდნენ, რომ ბრაზი უნდა შევიკავოთ, დავთრგუნოთ. არადა ბრაზს ასე ადგილად ვერ ჩაიკლავ, იგი ადრე თუ გვიან თავს იჩენს ამა თუ იმ სახით. შეიძლება ძილი დაგიფრთხე-  
ეთ და საძუთარამა შვილებმაც ქი გაგაფიზიანონ.

თქვენი შვილებისთვის ჩვენ მთელი ჩამონათვალი მოვამზადეთ, თუ როგორ გამოხატონ ბრაზი უვნებელი ფორმებით. გამოყითხეთ შვილებს ამის შესახებ.

და როგორ შეიძლება თავადაც გათავისუფლდეთ ბრაზისგან?

- შედით საძინებელში და მუშტები დაუშინეთ ლეიბს ან ბალიშს. გნუბავთ, იღრიალეთ კიდეც (ოღონდ მეზობლებს ნუ შეაწუხებთ). ბავშვები გააფრთხილეთ, რომ ამ გზით ბრაზისგან იცლებით და ისინ არაფერ შუაში არ არიან;
- დაწერეთ ფურცელზე, როგორი გაბრაზებული ხართ. შემდეგ, გნებავთ, შეინახეთ ფურცელი და გნებავთ, ნაკურებად აქციეთ;
- სცადეთ სპორტული ძუნძული;
- მიბრძანდით ხოგბურთის მოედანზე და ბურთი ზედიზედ რამდენჯერმე კედელს ესროლეთ (თან იფიქრეთ, რომ მოძალადეს უსწორდებით);
- გაისეირნეთ პლაჟზე და ფეხით ქვიშა მიმოფანტეთ (თან იფიქრეთ, რომ მოძალადეს უსწორდებით);

## მე-5 ფაზა: სიბრაზის განტვირთვის სავარჯიშო

დაგჭირდებათ: მოზრდილი ფურცელი (შპალერის ან მუყაოს ნაჭერი), ფლომასტერები, მომცრო ბურთები (სათამაშო უელპ, პლასტელინი).

დაახატინეთ ჯგუფს ერთ დიდ ფურცელზე მოძალადეს სახე. აუცილებელი არაა, ნახატი ლამაზი გამოვიდეს, პირიქით, სასურველიც კია, უშნო იყოს. თუ ჯგუფი ვერ ხატავს ერთ საერთო სახეს, შესაძლებელია რამდენიმე სახე დახატონ, ოღონდ ისევ და ისევ ერთ საერთო ფურცელზე.

ხატვას რომ მორჩებიან, დაავალეთ ჯგუფს, ნაკურებად აქციონ ნახატი. კარგია, თუ ქადალდი სქელი და მკვრივი იქნება, რათა მშობლებმა ძალა დახარჯონ მის დახევაზე.

ცხადია, ჯგუფს შეუძლია ინდივიდუალური ნახატებიც შეასრულონ, მაგრამ ეს მხოლოდ გამოუვალ შემთხვევაში. სავარჯიშოს არსი იმაშია, რომ მშობლებმა ერთად შექმნან და შემდეგ ერთად გაანადგურონ დამნაშავის სახე.

დახევის ნაცვლად ასევე შეგიძლიათ ნახატი კედელზე ჩამოკიდოთ, რასაც მშობლები ბურთებს ან პლასტელინის ნაგლეჯებს დაუშენებ.

### გახსოვდეთ შემდეგ:

- მამებს ზოგჯერ მეტისმეტი აგრესია ახასიათებთ და ეს ბუნებრივიცაა. (“როგორ

- გაბედა მაგ აქსორცმა და ჩემს შვილს შეეხო?!”) ზოგი მამა მზადაა, ცოცხლად გაგლიჯოს მოძალადე, რის გამოც ისინი რეალურ საფრთხეს წარმოადგენენ. ამი- ტომ სასურველია, მამებისთვის ცალკე ოთახში ჩატაროთ ეს სავარჯიშო;
- აგრესია დედებსაც ახასიათებთ, მაგრამ მათი აგრესია, როგორც წესი, მიმართულია ზოგადად დამნაშავეებისადმი, კერძოდ კი მამრობითი სქესის მოძალადგებისადმი. თუ ჯგუფში არიან მამებიც და დედებიც, დაუშვებელია, რომ დედების აგრესის სამიზნე გახდენ მამები. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისთვის, სავარჯიშო ცალ ცალკე ოთახებში რომ ჩატარდეს;
  - ამ სავარჯიშოსთვის დაგჭირდებათ დიდი ოთახი, სადაც არ იქნება ბევრი ავეჯი. მაგალითად, სპორტდარბაზი ან ფიზიოთერაპიის ოთახი;
  - აგრესის განტვირთვის დამატებით სავარჯიშოებს ბავშვთა სახელმძღვანელო- შიც იხილავთ. თერაპიის მონაწილეთა განსატვირთავად ასევე შეგიძლიათ მიმარ- თოთ ყვირილის სავარჯიშოს, ან გააკრათ ნახატი კედელზე ან კრივის ტომარაზე, რაზეც მშობლები ფეხბურთის ბურთით ან მუშტებით იყრიან ჯავრს;
  - მოცემული სავარჯიშოები თქვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს, რათა მშობლებმა კონტროლი არ დაკარგონ. ჩართეთ წამზომი და შეზღუდეთ აგრესის დრო;
  - მზად იყავით იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში შეაჩეროთ სავარჯიშო, თუ მშობლები ერთმანეთზე, საკუთარ თავზე ან თქვენზე გადმოიტანენ აგრესიას.

## მე-6 ფაზა: რატომ?

სმამადლა წაიკითხეთ №4.2 ფურცელი, “რატომ არ მიამბო შვილმა არაფერი?” ამ საკითხის ირგვლივ მშობლებს მომდევნო სესიისთვის საშინაო დავალება ეძლევათ.

### ურცელი 4.2

#### რატომ არ მიამბო შვილმა არაფერი?

მშობლებს ხშირად აწუხებთ ის ფაქტი, რომ შვილმა სიტყვა არ დაძრა მათთან, როცა ძალადობა ხდებოდა.

– კი მაგრამ, ხომ იცოდა ჩემმა შვილმა, რომ შეეძლო თავისუფლად ეთქვა გველაფერი?

ეს, რა თქმა უნდა, იცოდა თქვენმა შვილმა, მაგრამ ეს კარგად იცოდა მო- ძალადებაც!

ათიდან ცხრა შემთხვევაში მოძალადები ახერხებენ ბავშვის დაშინებას:

- სიტყვას თუ დაძრავ, დედაშენი ჯავრით მოკვდება.
- ვინმეს თუ უამბობ, ბავშვთა სახლში გაგაგზავნიან.
- სადმე თუ იტყვი, შენს გამო ციხეში დამიჭერებ.
- სიტყვას თუ დაძრავ, დედაშენი საშინაოდ გაგიჯავრდება.
- ხომ იცი, შენი ბრალია, მაშ, კანფეტებზე რატომ არ მუჟინებოდი უარს?

- ვინმეს თუ ეტყვი, შენებს ვერ გადაურჩები.
- სიტყვას თუ დაძრავ, დამე ფანჯრიდან შემოვმორები და მერე ნახე შენი სეირი.
- ვინმეს თუ ეტყვი, ყველა იფიქრებს, გარყვნილი და ბინძურიაო.
- მაინც არავინ დაგიჯერებს და თავს გაისულებებ.

ასე თუ ისე, ბავშვის დაშინება ადგილია და ამის ბევრი უტყუარი ხერხი არსებობს.

ზოგჯერ ბავშვები იმიტომ უმაღლეს მშობლებს, რომ ერიდებიან “საკუთარი ბუდის დაბინძურებას”. სახლი (ან დედა) მათვის სიწმინდეს წარმოადგენს და შინაც თუ “სიბინძურებები” დაიწყებ ლაპარაკი, მაშინ გამოდის, რომ ისიც უნდა დაბინძურდეს. ამიტომ ურჩევნიათ ამაზე სხვასთან ისაუბრონ, მაგალითად, მასწავლებელთან, ანდა საერთოდ არავისთან.

ზოგი ბავშვი კი იმას ფიქრობს, რომ ცუდ ამბავზე თუ არ ილაპარაკებ, თავისით გაივლის.

### **მე-7 ფაზა: საშინაო დავალება. “როგორ დააშინეს ჩემი შვილი?”**

აუხსენით ჯგუფს საშინაო დავალების შინაარსი და დაავალეთ, მომდევნო კვირისთვის შეავსონ №4.3 ფურცელი.

#### **ფურცელი 4.3**

##### **როგორ დააშინეს ჩემი შვილი?**

დაწერეთ, როგორ დააშინა მოძალადემ თქვენი შვილი, რომ წინააღმდეგობა არ გაეწია და სიტყვა არ დაეძრა არავისთან. ეს შეიძლება დანამდვილებით არც იცოდეთ, მაგრამ თქვენი ვერსია აუცილებლად გვქნებათ.

მე ვფიქრობ / მე ვიცი (შემოხაზეთ, რომელიც სწორია), რომ ..... მ ჩემი შვილი შემდეგნაირად დააშინა:

.....

.....

### **მე-8 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.

## ელ-სისიპ. სკუბრი

**1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირაშ?**

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირაშ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი.

შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 5.1, 5.2 და 5.3.

**მე-2 ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი**

მშობლები რიგრიგობით აკეთებენ მოკლე მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამობენ, როგორ მიმდინარეობს მათ «სამიზნე პრობლემებთან» ბრძოლა. გადახედეთ წინა სესიების ინსტრუქციებსაც. მოხსენებები მოკლე და ლაგონურია. თუ პრობლემასთან ბრძოლა შედეგს იძლევა, დაავალეთ მშობელს გადავიდეს მომდევნო პრობლემაზე.

**მე-3 ფაზა: საშინაო დავალების შემოწმება**

მშობლები რიგრიგობით აცნობენ ჯგუფს საშინაო დავალების შედეგებს (ფურცელი №4.3): როგორ აიძულეს მათი შვილები, რომ ხმა არ ამოედოთ. ხაზი გაუსვით თითოეული მშობლის სევდას ამ საკითხის ირგვლივ.

**მე-4 ფაზა: საგარჯიშო. “როცა ჩემი შვილი მომხდარის შესახებ დამეჭაპარაპება”.**

ჯგუფთან ერთად შეადგინეთ გეგმა, თუ როგორი რეაქცია უნდა ჰქონდეთ მშობლებს, როცა შვილი მომხდარის შესახებ საუბარს დაიწყებს.

გაათამაშეთ როლები იმის წარმოსაჩენად, თუ როგორია ცუდი რეაქცია და როგორი უნდა იყოს კარგი. პირველ რიგში თავად ერთ-ერთი თერაპევტი ასრულებს მშობლის როლს, რომელსაც არასწორი რეაქცია აქვს შვილის ნათქვამის მიმართ. პკითხეთ, მაგალითად, თანამოსაუბრეს, რომელიც ბავშვის როლს თამაშობს, “როგორი იყო ეს”. საუბრის მსვლელობისას კიდევ ერთხელ გაიმეორეთ ეს კითხვა.

ამის შემდეგ მშობლები წყვილ-წყვილად (ან სამ-სამად, სადაც მესამე “დამკვირვებელია”) გაითამაშებენ როლებს. აკონტროლეთ საუბრის დრო, რომ საუბარი თემას არ გაცდეს.

განიხილეთ, რა არის ამგვარი საუბრისთვის შესაფერისი დრო და ადგილი. ხალხით გაჭედილი მეტროს ვაგონი, ბუნებრივია, მოუხერხებელია გულახდილი საუბრისთვის, მაგრამ თუ ბავშვს მაინცდამაინც მეტროს ვაგონში მოუნდა საუბრის დაწყება, მშობელმა დელიკატურად უნდა აგრძნობინოს, რომ მასაც ძალიან სურს შვილის მოსმენა, ოღონდ მოგვიანებით, მშვიდ გარემოში. მოიგიქრეთ, როგორ აუხსნის მშობელი ამას შვილს, ისე რომ ეს უკანასკნელი იმედგაცრუებული არ დარჩეს.

გამოკითხეთ მონაწილეთა აზრი, არის თუ არა სასურველი, რომ საუბარს ოჯახის სხვა უმცროსი წევრებიც ესწრებოდნენ. აქვე ხმამაღლა წაიკითხეთ №5.1 ფურცელზე მოცემული რჩევები.

## **გახსოვდეთ:**

მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს, სურთ გამუდმებით საქმის კურში იყვნენ, რა ხდება მათი შვილის თავს, რაც შვილისთვის მომაბეზრებელია და უარყოფითად მოქმედებს მის გულახდილობაზე. აუხსენით მშობლებს, რომ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ საზიანო შვილთან ურთიერთობისთვის.

### **ურცელი 5.1**

#### **როგორ კელაპარაკო შვილს მომხდარის შესახებ?**

ზოგი ბავშვი თავს არიდებს საუბარს, ზოგი კი პირიქით, ყველგან და ყველაფერს ლაპარაკობს. არცერთი ვარიანტი არ ვარგა. ოქვები უნდა უბიძგოთ შვილს, რომ მომხდარის შესახებ მხოლოდ შესაფერის მომენტსა და სიტუაციაში ისაუბროს.

გაინტერესებთ, როგორ?

- პირველ რიგში, მიმართეთ ჯგუფურ თერაპიაზე განვლილ წესებს;
- შეინარჩუნეთ სიმშიდე. თუ აღელდით, განმარტოვდით და დრმად ისუნთქეთ;
- საუბრისთვის შეარჩიეთ ისეთი დრო და ადგილი, სადაც არავინ შეგაწუხებთ. თხოვეთ ოჯახის წევრებს, რომ საუბრის დროს არ შეგაწყვეტინონ;
- სასაუბროდ შეგიძლიათ გარეთ გაისეირნოთ;
- ისაუბრეთ მიუკიბ-მოუკიბავად და გასაგები ტერმინებით, დაუ ყველაფერს თავისი სახელი დაერქეას;
- მოიყვანეთ მაგალითი: – როდესაც მშობლების თერაპიაზე ვთქვი, ჩემს შვილს “ეს” გაუკეთეს-მეთქი, თერაპევტმა შემაჩერა, რას ნიშნავს “ეს”, რატომ პირდაპირ არ იტყვით.
- დაიწყეთ იმით, როგორ გიქირდათ თავიდან თერაპიაზე სხვების თანდასწრებით საუბარი და როგორი კმაყოფილი ხართ ახლა;
- კითხეთ შვილს, მასაც თუ გაუჭირდა თერაპიაზე სხვების თანდასწრებით საუბარი;
- ნუ უსაყვედურებთ, თუ თავის დროზე არ თქვა ყველაფერი;
- შეაქეთ შვილი, თერაპიაში მონაწილეობას რომ დათანხმდა;
- უამბეთ, რა ტვირთი მოგეხსნათ მხრებიდან და როგორი შვება იგრძენით, როცა სადარდებელი სხვებს გაუზიარეთ;
- წინასწარ დათქვით ხოლმე დრო და ადგილი საუბრის გასაგრძელებლად;
- დათქვით რაიმე ნიშანი, რომლითაც შვილი განიშნებთ ხოლმე, რომ სასწრაფოდ სურს თქვენთან ერთი-ერთზე საუბარი;
- მოილაპარაკეთ, ვისთან შეიძლება მომხდარის შესახებ ლაპარაკი და ვისთან არა.

**მე-5 ფაზა:** მომხდარზე აღვილია განსჯა....  
ხმამაღლა წაიკითხეთ №5.2 ფურცელი.

### ვურცელი 5.2

“მომხდარზე აღვილია განსჯა...”

როცა შენიშვნეთ, რომ თქვენი შვილის თავს რადაც ხდებოდა...

მშობლების უმეტეს ნაწილს დაუჯერებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ მათი შვილი მოძალადის ხელში ჩავარდა.

– როგორ, ჩემი შვილი ...?!

რადაცას შეიძლება მანამდეც ამჩნევდით, მაგრამ ფიქრობდით:

– ალბათ სკოლაში აქვს პრობლემები, ან რომ ავადმყოფობდა, იმის ბრალია...

მშობლისთვის ლოგიკურია ასეთი ფიქრი. აბა, ვინ იფიქრებს მაინცდამაინც ძალადობაზე? თანაც, .....ის მხრიდან?! კი, ასეთი რამ ხდება მსოფლიოში, ოღონდ სხვაგან, ჩვენგან შორს, ჩვენს შვილებს არ ეხება ეს.

ასე ფიქრობს ყველა, მზად არავინაა ამგვარი განსაცდელისთვის.

ცხოვრებაში ადამიანს ბევრი რამ შეიძლება ასწავლონ: წერა-კითხვა, ან-გარიში, ცურვა, ავტომობილის მართვა... მაგრამ ვინ გვასწავლის, როგორ ავლზარდოთ შვილები? ვინ გვასწავლის, როგორ ამოვიცნოთ, როდესაც შვილი გაგვიუპატიურეს?!

და ბოლოს, ბუნებრივია, ადამიანს სურს, რომ ენდოს სხვა ადამიანს. მაშ, ეს რა ცხოვრებაა, თუ ვერავის ენდობი?

მართლაც, რა აღვილია უკვე მომხდარის შესახებ ლაპარაკი!

**მე-6 ფაზა:** საშინაო დავალება. “არის თუ არა ჩემი ბრალი?”  
აუხსენით ჯგუფს საშინაო დავალების შინაარსი და დაავალეთ, მომდევნო კვირისთვის შეავსონ №5.3 ფურცელი.

## გურიული 5.3

### არის თუ არა ჩემი ბრალი?

მშობლებს, მითუმეტეს დედებს, ხშირად დანაშაულის გრძნობა კლავთ, რომ მათი შვილი ძალადობის მსხვერპლი გახდა. თუ თქვენც გაწუხებთ ეს გრძნობა, დაწერეთ, რატომ ფიქრობთ, რომ მომხდარში (თქვენც) ბრალი მიგიძლვით.

.....  
.....

დაწერეთ, თუ ფიქრობთ, რომ მომხდარში თქვენ ბრალი არ მიგიძლვით.

.....  
.....

### მუ-7 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.

## ეჯ-6 სესია. გრალი

### 1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 6.1, 6.2 და 6.3.

### მე-2 ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი

მშობლები რიგრიგობით აკეთებენ მოკლე მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამბობენ, როგორ მიმდინარეობს მათ «სამიზნე პრობლემებთან» ბრძოლა. მოხსენებები მოკლე და ლაკონურია. თუ პრობლემასთან ბრძოლა შედეგს იძლევა, დაავალეთ მშობელს გადავიდეს მომდევნო პრობლემაზე.

### მე-3 ფაზა: საშინაო დავალების შემოწმება

დაგჭირდებათ: დაფა, მარკერები.

მშობლები რიგრიგობით აცნობენ ჯგუფს საშინაო დავალების შედეგებს (ფურცელი №5.3). ჩამოწერეთ დაფაზე ლაკონურად თითოეული არგუმენტი და მოხსენებების დასრულების შემდეგ გაიარეთ ისინი სათითაოდ: რატომ არ გამოდგება ესა თუ ის აზრი დამაჯერებელ არგუმენტად.

### გახსოვდეთ შემდეგი:

- არსებობს შემთხვევები, როცა მამა შვილზე ძალას ხმარობს, რასაც დედა ხშირად საკუთარ თავს აბრალებს: “ეს არ მოხდებოდა, მეუღლე რომ დამეკმაყოფილებინა, ან სრულფასოვანი სექსი შემეთავაზებინა!” ამას უმეტესობა ხმამაღლა არ ამბობს, ამიტომ ეს საკითხი თქვენ უნდა ახსენოთ დელიკატურად: “ჩვენ გვჭრნია შემთხვევები, როცა დედას უთქვამს, რომ მეუღლე რომ დაეკმაყოფილებინა სქესობრივად, იგი ადარ შეეხებოდა შვილს”. განმარტეთ, რომ სექსუალური ძალადობა არაა იმის შედეგი, რომ მოძალადე მეუღლისგან ვერ იღებს საკმარის ან მრავალფეროვან სექსს. სექსუალური ძალადობა, მიუხედავად სახელწოდებისა, არაა სექსუალური პრობლემა (იხ. ლიტერატურა სახელმძღვანელოს ბოლო გვერდზე);
- დედებს შვილის უბედურების გამო პასუხისმგებლობისა და დანაშაულის გრძნობა აწესებთ. ცხადია, მამებსაც, მაგრამ მათ, როგორც წესი, ნაკლებად “აკისრებენ” პასუხისმგებლობას. “მთავარი დედაა, დედას არ უნდა ევლო სამსახურში და შვილისთვის უნდა მიეხედა!” – იტყვიან ახლობლები და ზოგჯერ ოჯახის წევრებიც. ყველაზე ცუდია, თუ ამას მეუღლე ამბობს. სიმართლე ისაა, რომ, მიუხედავად იმისა, მოძალადე ოჯახის წევრია თუ გარეშე პირი, დედის პასუხისმგებლობა მართლაც არსებობს, ოდონდ ძალიან მკირე დოზით.

## **მე-4 ფაზა: საგარჯიშო. დანაშაულის გრძნობის განტვირთვა**

დაგჭირდებათ: საპაერო ბუშტები, ძაფი, ფლომასტერები, ქინძისთავები.

შეასრულეთ ქვემოთ მოცემული ოთხი ვარიანტიდან ერთ-ერთი.

1.

დაურიგეთ მშობლებს გასაბერი ბუშტები. დაავალეთ, რომ დააწერონ ზედ “ჩემი ბრალი” და გაბერონ მანამდე, სანამ არ გასკდება.

2.

გაბერონ მშობლებმა ბუშტები, ძაფით თავი მოუკრან და დააწერონ ზედ “ჩემი ბრალი”. დაურიგეთ სათითაო ქინძისთავი. დაავალეთ, ძაფზე გამობმული ბუშტებით იარონ და ქინძისთავით დახეთქონ ერთმანეთის ბუშტები.

3.

გაბერონ მშობლებმა ბუშტები, ძაფით თავი მოუკრან და დააწერონ ზედ “ჩემი ბრალი”. შემდეგ ფეხზე გამოაბით ძაფიანი ბუშტები და დაავალეთ, რომ ფეხით დახეთქონ ერთმანეთის ბუშტები.

4.

გაბერონ მშობლებმა ბუშტები და დააწერონ ზედ “ჩემი ბრალი”. გადააბით ყველა ბუშტი ერთმანეთს და ცერემონიულად გაუშვით ფანჯრიდან.

### **შენიშვნა:**

ზოგი მშობლისთვის ასე ადვილი არაა დანაშაულის გრძნობისგან გათავისუფლება. უამბეთ მათ, როგორ არწმუნებენ მოძალადეები თავიანთ მცირებლოვან მსხვერპლს, რომ დამნაშავე თავად იგია. დაარწმუნეთ მშობლები, რომ ბავშვთა ჯგუფში ამ საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა.

## **მე-5 ფაზა: რატომ ხმარობენ ძალას ბავშვებზე?**

ხმამაღლა წაიკითხეთ №6.1 ფურცელი. თუ დროში შეზღუდული ხართ, მაშინ ეს ფურცელი შინ წასაკითხად გაატანეთ.

## ვურცელი 6.1

### რატომ ხდებიან ბავშვები სექსუალური მოძალადის ობიექტები?

სექსუალური მოძალადები ყველა სოციალურ ფენაში მოიძებნებიან. “გაბურძგნული კაცი, რომელიც ტყეში იმალება” – მოძალადის ამ ტიპაჟის, ცხადია, დღეს აღარავის სჯერა. ადამიანს ვერ შეატყობ, რომ იგი მოძალადება. იგი არ ახდენს ამის აფიშირებას.

საბედნიეროდ, ადამიანთა უმეტესობა ძალადობას ერიდება და მათი ნდობა შეიძლება.

მოძალადეს თავისუფლად შეიძლება ყავდეს ოჯახი, შვილები, ყოველ კვირა დღეს ეკლესიაში დადიოდეს და მეგობრებთან ერთად ფეხბურთს თამაშობდეს. ერთი სიტყვით, მოძალადე “ჩვეულებრივი” ადამიანია, რომელსაც ერთი დიდი პრობლემა აქვს: ბავშვებზე ძალას ხმარობს.

- სექსობრივ ძალადობას არ აქვს მარტივი ახსნა;
- ზოგ მოძალადეს მხოლოდ ბავშვები აღაგზნებს;
- ზოგი მოძალადე თავად იყო ბავშვობაში სექსუალური, ფიზიკური თუ ემოციური ძალადობის მსხვერპლი;
- ზოგი მოძალადე ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ჭარბი რაოდენობით მომხმარებელია;
- ზოგ მოძალადეს ზრდასრულ ადამიანებთან ურთიერთობა უჭირს;
- ზოგ მოძალადეს პრობლემები აქვს ხელისუფლებასთან;
- ზოგ მოძალადეს იმპულსების დათრგუნვა უჭირს;
- ზოგ მოძალადეს ქალების ეშინია.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, თუ რა არის მოძალადის საქციელის მიზეზი, ძალადობაზე პასუხისმგებელი მხოლოდ და მხოლოდ თავად მოძალადება და ბრალეულობაც შესაბამისად მის კისერზეა. ბავშვის გაუპატიურებას არა აქვს გამართლება!

**მე-6 ფაზა: ნუ დაითრგუნავთ თავს დანაშაულის გრძნობით!**  
ხმამაღლა წაიკითხეთ №6.2 ფურცელი.

## უურცელი 6.2

### არის თუ არა ჩემი ბრალი?

მშობლებს ხშირად აწესებთ დანაშაულის გრძნობა – რატომ ვერ შენიშნეს თავის დროზე ვერაფერი!

ეს აზრი სრულიად უადგილოა, წინასწარ ვერავინ შენიშნავს, რა ხდება.  
– კი მაგრამ, – გაითიქრებთ, – ხომ უნდა მიგხედრილიყავი, როცა დავინახე, რომ...

ისეგ და ისევ, მომხდარზე აღვილია განსჯა, მითუმეტეს, თუ იმ მომენტში მოუცლელი იყავით, ბავშვები თავს გაბეზრებდნენ, დედათქვენი საავადმყოფოში იწვა და ა.შ.

**ნუ დაითრგუნავთ თავს დანაშაულის გრძნობით,  
ნურც თქვენი ნებით, ნურც სხვისი აზრის გამო.**

გარეშე პირებისთვის ადვილია განსჯა. მეზობლებმა, ნაცნობებმა თუ სხვებმა შეიძლება იდაპარაკონ:

– როგორ ვერ მიხდნენ, იმ ტიპზე ვინ არ აიღებდა უჭვეს?

მაგრამ დანაშაული არაა, როცა ვინმეს ენდობით. პირიქით, ადამიანებს უნდა ენდოთ. როგორ არ უნდა ენდოთ საკუთარ მეუღლეს, ნათესავს, ბავშვის მასწავლებელს, მწვრთნელს და ა.შ. ნდობით თქვენ არაფერი დაგიშავებიათ. დააშავა მოძალადემ, რომელიც თქვენი ნდობით ისარგებლა.

ნახეთ, როგორი აზრები თრგუნავს ადამიანს:

- იმ დღეს სამსახურში რომ არ წავსულიყავი, ეს არ მოხდებოდა.
- იმ ტიპისთვის მოსავლელად რომ არ დამეტოვებინა ბავშვი, ეს არ მოხდებოდა.
- ბავშვები უმეთვალყუროდ რომ არ დამეტოვებინა, ეს არ მოხდებოდა.
- ის ტიპი სახლში რომ არ შემომეშვა, ეს არ მოხდებოდა.
- ბავშვი დამით მათთან რომ არ დამეტოვა, ეს არ მოხდებოდა.
- ცოლად რომ არ გავყოლოდი, ეს არ მოხდებოდა.
- ჩემი ბავშვისთვის ყური რომ დამეგდო, ეს არ მოხდებოდა.
- მასთან უფრო ხშირად რომ მქონოდა სექსი, ეს არ მოხდებოდა.
- ბრმად რომ არ დამეჯერებინა, როცა მითხრა, ასეთ რამეს შევეშვიო, ეს არ მოხდებოდა.

და კიდევ მრავალი და მრავალი ამგვარი აზრი, რომლებმაც შეიძლება სიცოცხლე გაგიმწარონ.

## **მე-7 ფაზა: საშინაო დაგალება. “რისი კეთება უყვარს ჩემს შეიღს?”**

აუხსენით ჯგუფს საშინაო დავალების შინაარსი და დაავალეთ, მომდევნო კვირისთვის შეავსონ №6.3 ფურცელი. აქ მშობლებმა უურადდება უნდა გაამახვილონ შვილთან ფიზიკური და სულიერი სიახლოვის მომენტებზე. მაგალითად, შვილისთვის წიგნის წაკითხვა, თმის დავარცხნა, კალთაში ჯდომა და მოფერება და ა.შ., და არა უბრალოდ მაკლონალდებში გასეირნება. აგრეთვე, რა სისმირით ახერხებენ ყოველივე ამის შესრულებას.

### **ფურცელი 6.3**

#### **რისი კეთება უყვარს ჩემს შეიღს?**

ბავშვებს მრავალნაირი გატაცება აქვთ. ზოგს კითხვა უყვარს, ზოგს ცურვა, ზოგსაც ციგურებით სრიალი იტაცებს. გარდა ამისა, ბავშვს ყოველთვის უხარია დედასთან და მამასთან ერთად ამა თუ იმ “უჩვეულო” გასართობში მონაწილეობა.

დაწერეთ, რისი კეთება მოსწონს თქვენს შვილს თქვენთან ერთად. უერადდება გაამახვილეთ ისეთ რამებებზე, რაც თანხებთან არაა დაკავშირებული. მაკლონალდებში წასვლა რომელ ბავშვს არ უხარია, მაგრამ ეს შეიძლება ყველასთვის არ იყოს ხელმისაწვდომი.

მაშ ასე, ჩამოწერეთ მარცხნივ, რისი კეთება უყვარს ბავშვს, ხოლო მარჯვნივ – როდის და რამდენჯერ მოახერხეთ ახლო წარსულში ამის განხორციელება.

რისი კეთება უყვარს ჩემს შეიღს ჩემთან ერთად:

.....

როდის და რამდენჯერ მოვახერხე ახლო წარსულში ამის განხორციელება:

.....

## **მე-8 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.



## ელ-სისქ. პერკლობა და კანონი

### 1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 7.1, 7.2 და 7.3.

### მე-2 ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი

მშობლები რიგრიგობით აკეთებენ მოკლე მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამბობენ, როგორ მიმდინარეობს მათ “სამიზნე პრობლემებთან” ბრძოლა. მოხსენებები მოკლე და ლაკონურია. თუ პრობლემასთან ბრძოლა შედეგს იძლევა, დაავალეთ მშობელს გადავიდეს მომდევნო პრობლემაზე.

### მე-3 ფაზა: ძალადობა და კანონი

გამოკითხეთ მშობლებს, უამბეს თუ არა შინ შვილებმა “სპექტაკლი სასამართლოს” შესახებ (იხ. ბაგშვთა ოერაპიის მე-6 სესია). დაე, გადმოსცენ, რა რეაქცია ჰქონდათ შვილებს ამ თამაშთან დაკავშირებით. აქვე გაითვალისწინეთ ერთი რამ: ზოგი მშობლისთვის თუ წარმოუდგენელია სასამართლოს გარეშე ამ საქმის გადაწყვეტა, ზოგი ამას პირდაპირ თავს არიდებს. კითხეთ ამ უკანასკნელთ, რატომ არ სურთ საქმის სასამართლომდე მიტანა. ხოლო მათ, რომელთა საქმესაც სასამართლო განიხილავდა და შესაძლოა უკმაყოფილოც დარჩენენ გამოტანილი განაჩენით, მიეცით უკმაყოფილების გამოხატვის საშუალება. ხაზი გაუსვით, რომ ყველა თავისუფალია საკუთარ არჩევანში. შემდეგ ხმამაღლა წაიკითხეთ № 7.1 ფურცელი.

### ურცელი 7.1

#### რატომ არ ისჯება დამნაშავე (სათანადოდ)?

- მოძალადები ზოგჯერ დაუსჯელი რჩებიან;
- მოძალადებს ზოგჯერ კი სჯიან, მაგრამ, მსხვერპლის აზრით, არასათანადოდ;
- მშობლებს ხშირად მიაჩნიათ, რომ მათი ან მათი შვილის ნათქვამი ბოლომდე არ ირწმუნეს;
- ბრალდებულის გათავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ თქვენი ნათქვამი არ დაიჯერეს;
- ასეთი რამ ხდება, როცა ვერ იძებნება კანონიერი სამხილი ან მტკიცებულება;
- მაგალითად, როცა არსებობს მხოლოდ მსხვერპლის ჩვენება ეჭვმიტანილის უარყოფის საწინააღმდეგოდ. მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე განაჩენი იქნას გამოტანილი.

თუ სასამართლოს მსვლელობით იმედგაცრუებული ხართ, ან უბრალოდ შეკითხვები გაქვთ სამართლებრივი პროცედურების თაობაზე, მიმართეთ იუსტიციის სამინისტროს ან პროკურატურას. ისინი კვალიფიციურ პასუხს გაგცემენ.

შეადგინეთ კოლექტიური წერილი გაზეთის, პარლამენტის, იუსტიციის მინისტრის, ომ-ბუდსმენის ან სხვათა სახელზე და აღწერეთ ყველა ის შენიშვნა და გამონათქვამი, რასაც ჯგუფისგან მოისმენთ სექსუალური ძალდობისა და მასზე “საზოგადოების” რეაგირების შესახებ.

#### **ალტერნატივა:**

თუ მშობლების დიდი ნაწილი უკმაყოფილო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით, კარგი იდეაა, თუ სესიაზე მოიწვევთ იურისტს, რომელიც ჯგუფს საპროცესო პროცედურებს განუმარტავს. (ნუ მოიწვევთ იმ იურისტს, რომელიც ამა თუ იმ ბავშვის საქმეს უძღვებოდა.) მან უნდა აუხსნას ჯგუფს, რომ ბრალდებულს იმ შემთხვევაში ათავისუფლებენ, როცა არ არსებობს კანონიერი სამსილი ან მტკიცებულება, რაც არ ნიშნავს იმას, რომ მოწმეთა ჩვენებები არად ჩააგდეს.

ყოფილა შემთხვევები, როცა მშობლებს სასამართლოში სარჩელის შეტანა სურთ, მაგრამ პროკურატურა ამა თუ იმ მიზეზის გამო მიიჩნევს, რომ ბავშვის ჩვენება არ გამოდგება მტკიცებულებად. ასეთ შემთხვევაშიც სასურველი იქნება მოწვეული სპეციალისტის კონსულტაცია.

**მე-4 ფაზა: საშინაო დავალების შემოწმება. “რისი კეთება უყვარს ჩემს შვილს?”**

**დაგჭირდებათ:** დაფა, მარკერები.

მშობლები რიგრიგობით აცნობენ ჯგუფს საშინაო დავალების შედეგებს (ფურცელი №6.3). ჩამოწერეთ დაფაზე ლაქონურად თითოეული გამომსვლელის აზრი და მოხსენებების დასრულების შემდეგ გამოიკითხეთ, რატომ ვერ ახერხებენ მშობლები ხშირად, რომ შვილისთვისაც მოიცალონ. შეარჩიეთ სიიდან რამდენიმე კარგი და სასიამოვნო გასართობი და მოილაპარაკეთ, როდის და როგორ განახორციელებენ მშობლები მათ შვილებთან ერთად (ყოველდღიურად, ორ დღეში ერთხელ და ა.შ.). ჩააწერინეთ თითოეულ მონაწილეს №7.2 ფურცელზე მოქმედების გეგმა.

## ვურცელი 7.2

### ცოტაოდენი დრო საკუთარი შვილისთვის

თქვენ წინა სესიაზე დაწერეთ, რისი კეთება უყვარს თქვენს შვილს თქვენთან ერთად. მაგრამ დაგვეთანხმებით, ხშირად ძნელია საამისოდ დროის გამონახვა. რამდენი საზრუნავი აქვს ადამიანს დილიდან საღამომდე, რომელიც არ ითმენს...

დაწერეთ, რის გაკეთებას გეგმავთ შვილის გასახარებლად, როდის და რა ფორმით:

დღეის შემდეგ მე და ჩემი შვილი ყოველდღე / ორ დღეში ერთხელ / კვირაში ორჯერ / კვირაში ერთხელ (დაწერეთ რას მოიმოქმედებთ, როგორც ეს ჯგუფთან ერთად მოილაპარაპე):

.....

### მუ-5 ფაზა: საშინაო დაგაბლება

აუხსენით ჯგუფს საშინაო დავალების შინაარსი და დავალეთ, ჩაინიშნონ №7.3 ფურცელზე, როგორ სრულდება ჯგუფთან ერთად მოფიქრებული გეგმა.

## ვურცელი 7.3

### დღიური: ცოტაოდენი დრო საკუთარი შვილისთვის

თარიღი:

რა მოიმოქმედეთ:

გაამართლა თუ არა?

.....

.....

### მუ-6 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.



## ეჯ-8 სესია. როგორ დაიკისვა შეიღი?

**1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?**

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 8.1.

**2-ე ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი**

მშობლები რიგრიგობით აკეთებენ მოკლე მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამბობენ, როგორ მიმდინარეობს მათ «სამიზნე პრობლემებთან» ბრძოლა. მოხსენებები მოკლე და ლა-კონურია. თუ პრობლემასთან ბრძოლა შედეგს იძლევა, დაავალეთ მშობელს გადა-ვიდეს მომდევნო პრობლემაზე.

**3-ე ფაზა: როგორ დავიცვა შეილი მომავალში ძალადობისგან?**

აცნობეთ ჯგუფს, რომ ბაგშეები ამ და მომდევნო სესიაზე გაივლიან საგარჯიშოებს, რომლებიც მათ გაუადვილებს კარგი და ცუდი შეხების ერთმანეთისგან გარჩევას.

ხმამაღლა წაიკითხეთ № 8.1 ფურცელი.

### ფურცელი 8.1

**როგორ დავიცვა შეილი მომავალში ძალადობისგან?**

ამ და მომავალ კვირას თქვენი შეილები გაივლიან სესიას თემაზე “კარგი და ექიმს, დედას და ა.შ.) და როგორ შეაჩერონ უცხო ადამიანი, რომელიც მათ სხეულს ეხება. ისწავლიან სიმდერას “შეხების” შესახებ.

ბაგშეებს მომავალი კვირისთვის საშინაო დავალება ეძლევათ: მათ ყურადღება უნდა მიაქციონ, ვინ ეხება მათ სხეულს და მომდევნო სესიაზე ჯგუფს უნდა უამბონ, მოეწონათ ეს თუ არა.

მაგრამ, ცხადია, ბაგშვი ყოველთვის ვერ დაიცავს თავს. მოიფიქრეთ და დაწერეთ, როგორ შეიძლება დაიცვათ შეილი ძალადობისგან:

.....  
.....

**4-ე ფაზა: რა იქნება ბაგშეების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შეილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.



## ე-9 სეიპ. ფირი შეილის მოძალური

### 1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 9.1.

### მე-2 ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი

მშობლები რიგრიგობით აკეთებენ მოკლე მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამბობენ, როგორ მიმდინარეობს მათ «სამიზნე პრობლემებთან» ბრძოლა. მოხსენებები მოკლე და ლა-კონურია. თუ პრობლემასთან ბრძოლა შედეგს იძლევა, დაავალეთ მშობელს გადა-ვიდეს მომდევნო პრობლემაზე.

### მე-3 ფაზა: საშინაო დაგალების შემოწმება

მშობლები რიგრიგობით აცნობენ ჯგუფს მე-7 სესიის საშინაო დაგალების შედეგებს (ფურცელი №7.3): “ცოტაოდენი დრო საკუთარი შვილისთვის”. გამოკითხეთ, როგორ მოეწონა ბავშვს გასართობი და, განსაკუთრებით, როგორ მოეწონა ეს თავად მშობელს. აქ თითოეული მშობელი შექმნას იმსახურებს.

თუ რომელიმე მშობელი ვერ ასრულებს დათქმულ გაგმას, ვერ იცლის, ან რომელიმე გასართობი არ ამართლებს, განიხილეთ ალტერნატიული ვარიანტები.

### მე-4 ფაზა: ფიქრი შვილის მომავალზე

მშობლებს, რომელთა შვილებმაც სექსუალური ძალადობა განიცადეს, ხშირად (გაუცნობიერებლად) აწერებოთ შიში: “როგორ გავლენას იქონიებს მომხდარი ძალადობა ჩემი შვილის მომავალზე?” ამას უმეტესობა შეიძლება ხმამაღლა ვერ ამბობდეს, ამიტომ ეს საკითხი თქვენ უნდა ახსენოთ: “წვერ შევნიშნეთ, რომ მრავალი მშობელი შიშით შეცქერის შვილის მომავალს...”. ხმამაღლა წაიკითხეთ № 9.1 ფურცელი.

**შენიშვნა:** თავად სექსუალური ძალადობის აქტი ბავშვს თანატოლებზე მეტ სქესობრივ გამოცდილებას აძლევს, თუმცა ეს გამოცდილება, სამწუხაროდ, არაა სრულფასოვანი და ობიექტური. ამიტომ, თუ ამის საშუალება გაქნებათ, შესთავაზეთ მშობლებს, რომ ბავშვთა ოერაპევტებმა მათ შვილებს მათი ასაკის შესაფერისი სექსუალური განათლების კურსი ჩაუტარონ. თუ მშობლები წინააღმდეგი იქნებიან და ისურვებენ, რომ ამგვარი განათლება ჯობს თავად მისცენ შვილებს, ურჩიეთ შესაფერისი სახელმძღვანელოები და მეთოდები.

ଓৱেৰোঁ ১.১

## ფიქრი შვილის მომავალზე

თქვენ ალბათ უკვე იმდენად აღარ გროგუნავთ იმის შიში, რომ თქვენს შვილს მოელი ცხოვრება გამწარებული ექნება. იგი გაიაზრებს და მოინტენდებს მომხდარ ძალადობას და ამაში დაეხმარება საუბრები და თამაშები, როგორც ჯგუფთან, ისე თქვენთან ერთად. იგი მიხვდება, რომ არაა ერთად-ერთი გამონაკლისი.

ეოველივე ეს, რაც შეიძლება, დროულად უნდა მოხდეს. რაც მეტი დრო გადის, მთი უფრო ძნელი ხდება “მონელება”. რასაკვირველია, ამ პროცესში გადამწყვეტია მშობლის როლი, მშობლის, რომელიც მხარს უჭერს შვილს, სჯერა მისი და არ უჯავრდება იმის გამო, რაც მოხდა ან იმის გამო, რომ დროულად არ გაამხილა ქარლაპლი.

გაგრცელებულია მრავალი მითი იმის შესახებ, თუ რა შედეგები მოაქვს სექსუალურ ძალადობას ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე. მაგალითად:

1. მოგონება ბავშვობაში მომხდარი სექსუალური ძალადობის შეახებ მთელი ცხოვრების მანძილზე დათრგუნავს ადამიანს; **სიცრუეა.** ცხადია, მოგონება ყოველთვის დარჩება (ისევა, როგორც ბავშვობაში ველოსიპედიდან ჩამოვარდნა და თავის გატეხვა), მაგრამ იგი არ იქნება დამორგუნავი, თუ ბავშვს დროულად დავეხმარებით მის მონელებაში;
  2. სექსუალური ძალადობა ბიჭუნებს მომავალში პომოსექსუალიზმისკენ უბიძებს; **სიცრუეა.** არ არსებობს მეცნიერულად დამტკიცებული კავშირი სექსუალურ ძალადობასა და პომოსექსუალიზმს შორის;
  3. სექსუალური ძალადობა უშვილობას იწვევს გოგონებში; **სიცრუეა.** ისინი დანარჩენი გოგონების მსგავსად აჩენენ შვილებს;
  4. ბიჭუნები, რომლებსაც სექსუალური ძალადობა აქვთ გადატანილი, მომავალში თავად ხდებიან მოძალადენი;
  5. ბავშვობაში მომხდარი სექსუალური ძალადობის გამო ადამიანი სექსუალური კავშირის სურვილს კარგავს. **სიცრუეა.** ბავშვს თუ დროულად აღმოუჩენენ დახმარებას, მის მომავალ სქესობრივ ცხოვრებას საფრთხე არ ემუქრება.

**შენიშვნა:** მომზადებული იყავით ისეთი კითხვებისთვის, რომლებიც ეხება ვენერული დაავადებებსა და შიდსს. (ნიდერლანდურ ენაზე გირჩევთ წაიკითხოთ ბილოს და ვან ორანიეს 1998 წლის გამოცემა “*Het ongelukshuidje*”). ითანამშრომლეთ ადგილობრივ პედიატრებთან და, თუ შესაძლებელია, მოიწვიეთ ისინი სესიაზე.

**მე-5 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.



## ეჯ-10 სისტ. შეჯება

### 1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 10.1.

### მე-2 ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი

მშობლები რიგრიგობით აკეთებენ მოკლე მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამბობენ, როგორ მიმდინარეობს მათ «სამიზნე პრობლემებთან» ბრძოლა. მოხსენებები მოკლე და ლაკონურია. თუ პრობლემასთან ბრძოლა შედეგს იძლევა, დაავალეთ მშობელს გადავიდეს მომდევნო პრობლემაზე.

### მე-3 ფაზა: შექება

#### 1-ლი სავარჯიშო:

დაყავით ჯგუფი წყვილებად. თითოეული წყვილი გაიხსენებს, იღებდნენ თუ არა ბავშვობაში კომპლიმენტებს და რომელი დაამასხოვრდათ ყველზე მეტად. შემდეგ ამას ჯგუფს უამბობენ. განიხილეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვობაში დამასხოვრებული მშობლის შექება ადამიანისთვის, რომ საკუთარ შვილის საქციელსაც პოზიტიური თვალით შეხედოს.

#### მე-2 სავარჯიშო:

დაავალეთ ჯგუფის წევრებს, რიგრიგობით შეაქონ რომელიმე თანაჯგუფები (მაგალითად, გვერდზე მჯდომი, რათა შექება ყველას ერგოს!). ამ სავარჯიშომ შეიძლება ერთგვარი ვნებათაღელვა გამოიწვიოს, ზოგჯერ უარყოფითიც კი. ამიტომ თუ ამის საშიშროებას გრძნობთ, თავად შეაქეთ მონაწილეები. შემდეგ გამოიკითხეთ, რა გრძნობა გამოიწვია შექებამ. აქაც, ყურადღებით იყავით, რამეთუ ზოგი, სამწუხაროდ, ცხოვრებაში არასდროს შეუქიათ.

#### მე-4 ფაზა: საშინაო დავალება. “დროული შექების ბალა”

სმამაღლა წაიკითხეთ № 10.1 და 10.2 ფურცლები და აუხსენით ჯგუფს საშინაო დავალების შინაარსი. დაავალეთ, დროდადრო შეაქონ შვილი და ჩაინიშნონ №10.1 ფურცელზე, რის გამო და როგორ.

## ურცელი 10.1

### დროული შექების ძალა

ყოველდღიურ საზრუნავში ხშირად გვავიწყდება, რომ ერთმანეთს ტკბილი სიტყვა გუთხრათ. ტკბილი სიტყვა კი ყველაზე მეტად ბავშვებს სჭირდებათ და ხშირად დამსახურებულადაც. თქვენ თუ არ მოეფერებით შვილს, არც იგი მოგვიცებათ თქვენ.

შეეცადეთ მომავალ კვირას დროდადრო შეაქოთ შვილი. მშობელი ადგილად ხედავს, როცა ბავშვი რამეს აშავებს, მაგრამ “ვერ ამჩნევს” მის კარგ საქციელს.

რა მოიმოქმედა ჩემმა შვილმა?

.....

.....

როგორ შევაქე?

.....

.....

## ურცელი 10.2

### როგორ შევაქო შვილი?

- შექება ევაქტურია, როცა ბავშვს უშუალოდ კარგი საქციელის შემდეგ შეაქებთ;
- შექებისას ხაზი გაუსვით, რისთვის აქებთ. მაგალითად: “ყოჩად, რომ ძამიკოს შენი სათამაშოები ათხოვე”, და არა უბრალოდ “ყოჩად”;
- შექების დროს ხმაც და სახის გამომეტყველებაც დადებით იმპულსს უნდა გამოსცემდეს;
- ნუ “ჩააშხამებთ” შექებას. ნუ იტყვით: “კარგი გოგონა ხარ, რომ წყნარად თამაშობ. ნეტავ, ყოველთვის ასე იქცეოდე”.

### მე-5 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა გუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.

## ეჯ-11 სასიპ. სკლევე მოქალაქე რომ უკანვადას...

**1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირაშ?**

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს, როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 11.1 და 11.2.

**მე-2 ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი**

მშობლები რიგრიგობით აკეთებენ მოკლე მოხსენებას. ისინი ჯგუფს უამბობენ, როგორ მიმდინარეობს მათ «სამიზნე პრობლემებთან» ბრძოლა. მოხსენებები მოკლე და ლა-კონურია. თუ პრობლემასთან ბრძოლა შედეგს იძლევა, დაავალეთ მშობელს გადა-ვიდეს მომდევნო პრობლემაზე.

**მე-3 ფაზა: საშინაო დავალების შემოწმება**

განიხილეთ წინა სესიის საშინაო დავალების შედეგები (ფურცელი №10.1). შეაქეთ მშობლები იმისთვის, რომ შვილებს აქებდნენ (შექება ხომ მათაც სჭირდებათ!). თუ რომელიმემ ვერ შეძლო ან ვერ მოახერხა დავალების შესრულება, განიხილეთ, როგორ მოიქცნენ მომდევნო კვირას.

**მე-4 ფაზა: სავარჯიშო. “სადმე რომ მოძალადე შემხვდეს...”**

დაგჭირდებათ: დაფა, მარკერები.

გამოიკითხეთ და ჩამოწერეთ დაფაზე (ერთ მხარეს), როგორ მოიქცევიან მშობლები, სადმე რომ მოძალადეს შეხვდნენ. განიხილეთ, რამდენად გონივრულია ან სასურველია თითოეული რეაქცია. შეთანხმდით, რა ხერხებს მიმართონ მშობლებმა იმისთვის, რომ ასეთ სიტუაციაში თავშეკავება შეინარჩუნონ.

**მე-5 ფაზა: სავარჯიშო. “წერილი მოძალადეს”**

დაგჭირდებათ: დაფა, მარკერები.

ამ სავარჯიშოში მთელ ჯგუფთან ერთად უნდა შეადგინოთ “წერილი მოძალადისად-მი”. დაე, მშობლებმა გამოიქვანა ყველაფერი, რაც აწუხებთ, აბსოლუტურად ყველაფერი. ჩაიწერეთ ყველა გამონათქამი და დაპირდით ჯგუფს, რომ მომავალი სესიისთვის თითოეული მიიღებს ამ ერთობლივი წერილის ნაბეჭდ ეგზემპლარს, რომელიც შეუ-ძლიათ თავიანთ საქადალდებში შეინარჩუნონ.

**მე-6 ფაზა: საშინაო დავალება. “გამოთქვით თქვენი სათქმელი”**

მშობლებმა მომდევნო სესიითვის №11.1 ფურცელზე უნდა დაწერონ, თუ რამე სათქმე-დი დარჩათ მოძალადესადმი. (თუ სურთ, შეუძლიათ სათქმელი ნახატის სახით გადმოსცენ.) ამ წერილსაც (ან ნახატსაც) მომავალში საქადალდებში შეინახავენ, ან დიად ან კონვერტში დალუქული სახით.

## ლურჯელი 11.1

### გამოთქვით თქვენი სათქმელი

დაწერეთ, რას ეტყოდით მოძალადეს. ნუ მოგერიდებათ, დაწერეთ, რაც გსურთ და რამდენიც გსურთ. გნებავთ, მეორე გვერდზე გადადით ან დამატებით ფურცლები მოიშველიეთ.

.....

**მუ-7 ფაზა: კიდევ ერთი საშინაო დავალება. “როგორ მოიქცეოდა ჩემი შვილი, მოძალადეს რომ შეხვდეს?”**

მშობლებმა მომდევნო სესიითვის №11.1 ფურცელზე უნდა დაწერონ, თუ როგორ მოიქცეოდა მათი შვილი, მოძალადეს რომ შეხვდეს.

## ლურჯელი 11.2

### როგორ მოიქცეოდა ჩემი შვილი, მოძალადეს რომ შეხვდეს?

დაწერეთ, როგორ მოიქცეოდა, თქვენი აზრით, თქვენი შვილი, მოძალადეს რომ შეხვდეს:

.....

**მუ-8 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.

## ეჯ-12 სეიიქ. კანკ კი ჩვენი სურვილუაში შესახავ!

### 1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს, როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № 12.1 და 12.2.

### მე-2 ფაზა: საშინაო დავალებების შემოწმება

იკითხეთ, ხომ არავის სურს გააცნოს ჯგუფს, რა დაწერა (ან რა დახატა) №11.1 ფურცელზე. აღნიშნეთ, რომ ეს სავალდებულო არაა.

რაც შეეხება მეორე საშინაო დავალებას (ფურცელი №11.2), განიხილეთ თითოეული მშობლის აზრი: როგორ მოიქცეოდა მათი შვილი, მოძალადეს რომ შეხვდეს? მოძალადესთან შეხვედრა ხომ სავსებით შესაძლებელია, სასჯელის მოხდის შემდეგ იგი კვლავ შეიძლება ქუჩაში გადაგვეყაროს.

მე-3 ფაზა: სავარჯიშო. როგორ მოვამზადოთ შვილი მოულოდნელი შეხვედრისთვის. განიხილეთ ჯგუფთან ერთად, როგორ შეიძლება მოვამზადონ ბაგშვები მოძალადესთან მოულოდნელი შეხვედრისთვის და ჩაწერინეთ ეს №12.1 ფურცლებზე.

### შურცელი 12.1

#### როგორ მოვამზადოთ შვილი მოულოდნელი შეხვედრისთვის

ჯგუფთან ერთად ჩვენ განვიხილეთ, როგორ მოვამზადოთ შვილი იმ მომენტისთვის, თუკი იგი მოძალადეს შეხვდება. დაწერეთ, რა საშუალებები იქნა განხილული:

1. .....
2. .....
3. .....
4. .....

გაითამაშეთ როლები, როგორ ასწავლის მშობელი შვილს არასასურველ სიტუაციაში მოქცევის წესებს. ბაგშვის როლს თავდაპირველად თერაპევტი შეასრულებს, მშობლის როლს – ერთ-ერთი მოხალისე მშობელი. დაგ, დანარჩენებმა თვალი ადგნონ და შეხედულებისამებრ გამოთქვან შენიშვნები.

#### **მე-4 ფაზა: როგორ ვითარდება პრობლემებთან ბრძოლის პროცესი**

ვინაიდან თერაპია დასასრულს უასლოვდება, გადახედეთ მე-2 სესიის მე-2 ფაზის ინსტრუქციებს. მშობლები მათ მიერ შევსებულ №1.6 ფურცლებში იხედებიან. სათითაოდ გაიარეთ უკელა პრობლემა. მონაწილენი კიდევ ერთხელ აკეთებენ მოხსენებებს, თუ როგორ გადაჭრეს ესა თუ ის პრობლემა. შეთანხმდით, როგორ მიუდგნენ მშობლები იმ პრობლემებს, რომლებიც გადაუჭრელი რჩება.

#### **მე-5 ფაზა: ახლა კი ჩემი სურვილების შესახებ!**

ამ ფაზაში, დაე, მშობლებმა ინდივიდუალურად ჩამოწერონ, თუ რამ სურვილები და ოცნებები აქვთ. გახსოვდეთ: აქ საუბარი არა მატერიალურ ოცნებებზე (ახალი სახლი, უკეთესი სამსახური, დაუვიწყარი კრუიზი და სხვა), არამედ “სულიერზე”. თუმცა სულიერი ოცნებებიც მეტილად ფინანსებთანაა დაკავშირებული, ამიტომ გადახედეთ ქვემოთ მოცემულ შენიშვნას.

განიხილეთ, როგორ აპირებენ ამ ოცნებების განხორციელებას და რეალური იდეები №12.2 ფურცელზე ჩააწერინეთ.

#### **უურცელი 12.2**

##### **ახლა კი ჩემი სურვილების შესახებ!**

დაწერეთ ზემოთ, რის გაკეთებას ისურვებდით, ხოლო ქვემოთ – როგორ გეგმავთ ამის განხორციელებას:

**რა?**

.....

**როგორ?**

.....

#### **მე-6 ფაზა: საშინაო დავალება. “ახლა კი ჩემი სურვილების შესახებ!”**

მომდევნო სესიისთვის მშობლების დავალება: გაიკითხონ და მოიძიონ ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ სურვილის განხორციელება, რა ჯდება ეს და ვის უნდა მიმართონ საჭიროების შემთხვევაში (საკონტაქტო ინფორმაცია). შეიტანონ ეს უკელაფერი №12.2 ფურცელზე ან გააკეთონ ცალკე სია.

#### **შენიშვნა:**

მართალია, ჯგუფური თერაპია დიდ აქცენტს აკეთებს პაციენტების დამოუკიდებელ მუშაობაზე, მაგრამ არავინ ჩამოგართმევთ ამას ”ცოდვაში”, თუკი პაციენტისთვის თქვენც რამეს მოიმოქმედებთ ან მოიძიებთ.

- მაგალითად, ზოგი მშობლის ოცნებაა: “კარგი იქნებოდა, მეტი მეგობრები, რომ მყო-

ლოდა”. გამოკითხეთ მას, რა ეხერხება ყველაზე უპეტ (ჭრა-კერვა, ხატვა, სპორტი თუ სხვა), ან რითი ერთობოდა ძველად. გაიკითხეთ, ხომ არაა ახლომახლო რაიმე კლუბი ან გაერთიანება, სადაც მსგავსი ღონისძიებებით ერთობიან. თუ კლუბის წევრობა ფინანსებთანაა დაკავშირებული, რასაც მშობელი ვერ გასწვდება, მოძებნეთ ნაკლებფასიანი (ან უფასო) ალტერნატივა. მსგავსი რამის მოძებნა, ცხადია, მშობელსაც შეუძლია, მაგრამ ისინი ამას სხვადასხვა მიზეზის (მათ შორის, სიამაყის) გამო არ აკეთებენ. ამიტომ ჯობს თავად მოძებნოთ ხელსაყრელი ვარიანტები და ჯგუფს შესთავაზოთ;

- ზოგის ოცნება ასეთია: “კარგი იქნებოდა, ცოტა დრო ჩემი თავისთვისაც დამეომო, სილამაზის სალონში გამევლო და ა.შ.”. გაიკითხეთ, ხომ არაა ახლომახლო (თუნდაც მოშორებით, ქალაქის ფარგლებში) სტილისტთა მოსამზადებელის სქოლა, სადაც კლიენტებს მინიმალურ ფასად ემსახურებიან.
- “მინდა, ცოტა ხალხში გავერიო”. ასეთი ოცნების განხორციელება ადვილია, თუ ადამიანი მოხალისედ ჩაებმება მუხუცებულთა, უნარშეზღუდულთა ან ბავშვთა დახმარების ორგანიზაციებში. შეარჩიეთ შესაფერისი ორგანიზაციები და შესთავაზეთ ისინი ჯგუფს;
- ზოგი მშობლის სურვილია “დაეხმაროს სხვა ბავშვებსაც, ვინც ძალადობის მსხვერპლი გახდა”. ნიდერლანდებში ორი ორგანიზაციაა, რომლებიც მსგავს პრობლემებზე მუშაობს. მისამართები იხილეთ ბოლო ფურცელზე.

### **მე-7 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.



## ევ-13 სეის. გოლოსენის სეის

**1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირაშ?**

დაიწყეთ სეისი ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირაშ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი.

**მე-2 ფაზა: საშინაო დავალებების შემოწმება**

დაგჭირდებათ: დაფა, მარკერები

№12.2 ფურცლების მიხედვით ჩამოწერეთ დაფაზე თითოეული მონაწილის სურვილი და ოცნება. გადახედეთ მათ მიერ მოძიებულ ინფორმაციას. შესთავაზეთ თქვენს მიერ მოძიებული ვარიანტებიც. თუ რომელიმემ უკვე სცადა ამა თუ იმ სურვილის განხორციელება, თხოვთ, უამბონ დანარჩენ ჯგუფს, როგორი იყო ეს. მოილაპარაკეთ, ვინ რას მოიმოქმედებს მოდევნო კვირის მანძილზე.

**მე-3 ფაზა: შეჯამება**

წინასწარ მოამზადეთ მოკლე გამოსვლა, რომელშიც შეაჯამებთ განვლილი თერაპიის დადებით მხარეებს და პრობლემებს. საზი გაუსვით მიღწეულ წარმატებებს და შეაქვთ მონაწილენი მათ მიერ გაწეული ძალისხმევისთვის. აღნიშნეთ, სად და რომელ დაწესებულებაში შეუძლიათ მშობლებს შემდგომი კონსულტაციების მიღება. ბოლოს გამოიკითხეთ თავად მონაწილეთა აზრი თერაპიის მსვლელობის შესახებ.

**შენიშვნა:**

მონაწილეთა შორის ალბათ იქნებიან მშობლები, რომლებსაც საკუთრივ დახმარება დასჭირდებათ, მითუმეტეს მათ, ვისაც ახალგაზრდობაში თავად პქონდა შეხება ძალადობასთან. აღნიშნეთ, რომ ეს საგსებით ნორმალურია. იქნებიან ალბათ ბავშვებიც, ვისაც შემდგომი თერაპია დასჭირდებათ. ამიტომ კონსულტაციების გაგრძელება მათ მშობლებთანაც მართებული იქნება, რათა ისინი ამისთვის ემოციურად მომზადებულნი იყვნენ. მიეცით ჯგუფის მონაწილეებს ყველა საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია და დაარწმუნეთ, რომ ყველთვის შეუძლიათ წინასწარ დარეკონ თქვენთან შეხვედრის დასანიშნავად.

**მე-4 ფაზა: რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?**

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე და მიიწვიეთ ისინი ბავშვთა თერაპიის დახურვაზე.

**შენიშვნა:** თუ რომელიმე მშობელი გამოსამშვიდობებელი სესიისთვის რაიმეს მომზადებას მოიწადინებს, ნება მისია, ოდონდ ნუ გახდით ამას სავალდებულოს მოელი ჯგუფისთვის.



## ევ-14 სასიპ. გოლო სისიპ

მოკლე გამოსამშვიდობებელი ცერემონიის შემდეგ შეუერთდით ბავშვთა გამოსამშვიდობებელ სესიას. თითოეული მშობელი თავისი შვილის გვერდით იკავებს ადგილს. გაუმასპინძლდით ყველას ჩაით და ყავით.

**შენიშვნა:** ოქრაპიაში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები შესაძლებელია მშობლებზეც გაიცეს. სერთიფიკატების გაცემა სასურველია მაშინ, როცა მშობლები და ბავშვები ერთად იქნებიან.



# X სესია.

## თუ გევვას ეისი კსეიისთვის უკუფარებელი სესიალური სკოლის კხეიდებს

რიგგარეშე სესია. ჩაატარეთ საჭიროების შემთხვევაში

1-ლი ფაზა: როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ?

დაიწყეთ სესია ჩაით და ყავით. გამოკითხეთ მშობლებს როგორ ჩაიარა გასულმა კვირამ. აკონტროლეთ თითოეული გამომსვლელის დრო და არ დაგრჩეთ არცერთი მშობელი გამოუკითხავი. შემდეგ დაარიგეთ ფურცლები № X.1 და X.2.

2-ე ფაზა: სექსუალური ხასიათის თამაშები შინ და სახლს გარეთ

დაგჭირდებათ: დაფა, მარკერები

გამოიკითხეთ და ჩამოწერეთ დაფაზე (ერთ მხარეს), შეიღის რა საქციელი არ მოსწონო მშობლებს. მიუწერეთ მის გასწვრივ, რა მეთოდებით სცადეს ამ საქციელის აღმოფხერა და იყო თუ არა ესა თუ ის მეთოდი წარმატებული. გამოყავით ისინი, ხოლო დანარჩენი შემთხვევებისთვის სცადეთ ჯგუფთან ერთად მოიფიქროთ ალტერნატიული მეთოდები.

ხმამაღლა წაიკითხეთ და გაარჩიეთ ფურცელი № X.1.

### ფურცელი X.1

რა არის ნორმალური და რა არის მიუღებელი?

ნორმალურია, როცა ბავშვს ზომიერი ინტერესი უჩნდება სასქესო ორგანოებისადმი.

ნორმალურია, როცა ბავშვს ინტერესი უჩნდება, რა არის “ფისი” და რა არის “კუკი”.

ნორმალურია, როცა ბავშვი თავად ამბობს სიტყვებს “ფისი” და “კუკი”.

მაგრამ არაა კარგი, როცა ბავშვი ამას წამდაუწერ იმეორებს, მიუხედავად თქვენი გაფრთხილებისა.

ნორმალურია, როცა ბავშვი ხანდახან სასქესო ორგანოებზე იკიდებს ხელს.

ნორმალურია, როცა ბავშვი ზოგჯერ მასტურბირებს ან ისეთ მოძრაობებს აკეთებს, რაც მასტურბაციას გავს.

მაგრამ არაა კარგი, როცა ბავშვი, მიუხედავად თქვენი გაფრთხილებისა, სახალხოდ იკიდებს ხელს სასქესო ორგანოებზე ან ისეთ მოძრაობებს აკეთებს, რაც მასტურბაციას წააგავს.

ნორმალურია, როცა ბავშვები უქიმობანას თამაშობენ.

ნორმალურია, როცა ბავშვები თამაშისას ზოგჯერ ერთმანეთის სასქესო ორგანოებს ათვალიყრებენ.

მაგრამ არაა კარგი, როცა ბავშვები ერთმანეთის სასქესო ორგანოებს ხელით, პირით ან რაიმე ნივთით ეხებიან.

სასქესო ორგანოებით თამაში მისაღებია, რამეთუ ბავშვები ცნობისმოყვარენი არიან და აინტერესებთ, როგორია საკუთარი ან თუნდაც სხვისი ორგანო, მაგრამ არაა კარგი, როცა ამ დროს ერთი ბავშვი მეორეს რაიმეს აიძულებს, მითუმეტეს თუ იგი ასაკით უფროსია ან უცხოა.

ნორმალურია, როცა ბავშვი საკუთარ სასქესო ორგანოს ეთამაშება და თქვენს დანახვაზე ამას სიცილში გაატარებს, ან დაიმორცხებებს ან თუნდაც ლენავ შეშინდება.

მაგრამ არაა კარგი, როცა იგი ამ დროს პანიკაში ვარდება.

სმამაღლა წაიკითხეთ და გაარჩიეთ ფურცელი № X.2.

## ფურცელი X.2

როგორ მოვიქცე, თუ ჩემს შვილს მიუღებელ სექსუალურ საქციელს შევამზევ?

მიუღებელ სექსუალურ საქციელს ისევე უნდა მიუდგეთ, როგორც ნების-მიერი სხვა უსაქციელობას. როგორც სახალხოდ დაბოყინებას, გაქუებას, ცხვირის ჩიჩქნას და მსგავს საქციელს უკრძალავთ შვილს, ისე აუკრძალეთ, თავი შეიკავოს სექსუალური შინაარსის გამოხტომებისგანაც.

თუმცა, ამასთან ერთად ურიგო არ იქნება დამატებითი ზომების მიღებაც:

- თუ და-მმა ვერ რიგდება ან უფროსი დაიკო ან ძამიკო უმცროსს სქესობრივი გამოხტომებით აწესებს, ნუ დააწვენთ მათ გვერდიგვერდ. სასურველი იქნება, თუ მათ ცალცალკე თთახებში მოათავსებთ.
- ნუ დატოვებთ ცალკე თთახში სათამაშოდ თქვენს შვილსა და მის მეგობარს, თუ ისინი არასასურველ საქციელში გყავთ შემჩნეული. დატვეთ კარი დია და თვალი გეჭიროთ. ოდონდ ნუ იქნებით “პოლიციელი” და ნუ ჩაუნერგავთ შვილს შიშს.

- როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბავშვებისთვის ნორმალურია სასქესო ორგანოებით თამაში ზომიერების ფარგლებში. თუმცა თქვენი შვილის შემთხვევაში, რომელმაც სქესობრივი ძალადობა გადაიტანა, უჯობესი იქნება, თუ ამაზე თვალს არ დახუჭავთ.
- თავი შეიკავეთ სახლში შიშველი სიარულისგან. ცხადია, მიუღებელი არაფერია, თუ ადამიანი საჟუთარ სახლში შიშველი გაივლის, მაგრამ თქვენი შვილის ინტერესებიდან გამომდინარე ეს სასურველი არაა.
- თუ თქვენი შვილი, თქვენი თხოვნის მიუხედავად, არ იშლის საკუთარი სასქესო ორგანოთი თამაშს, შეეცადეთ “ფიზიკური კონტაქტი” თავად დაამყაროთ მასთან: ჩაისვით კალთაში, მოვფერეთ თმაზე ან ზურგზე, დაარწიეთ, უმდევრეთ მშვიდი სიმძლერა და ა.შ.
- თუ შვილი სასქესო ორგანოებზე გეხებათ ან რაიმე სხვა გზით თქვენზე გამოხატავს სქესობრივ ინტერესს, მშვიდად აუხსენით, რომ არ მოგწონთ ასეთი საქციელი.
- ნუ დაიწყებთ დაუსრულებელ ქადაგებას და ჭკუის დარიგებას იმის შესახებ, თუ რა შეიძლება და რა არა, “ხალხი რას იტყვის” და ა.შ.. უბრალოდ შეაჩერეთ ბავშვი და უურადღება გადაატანინეთ რაიმე პოზიტიურზე

ხმამაღლა წაიკითხეთ და გაარჩიეთ ფურცელი № X.3.

### ფურცელი X.3

#### როგორ მოგიქცე, თუ ჩემი შვილი უზრდელობებს იტყვის?

თერაპიაზე ბავშვებს უფლება მიეცათ, ჩვეულებრივი სალაპარაკო ენით ის-აუბრონ სქესობრივ ძალადობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არავინ დასჯის, თუ ამბის მოყოლისას გულგარულ სიტყვებს გამოიყენებენ. მიკიბულ-მოკიბული საუბრით ხომ შეუძლებელია ძალადობაზე საუბარი და მისით გამოწვეული სულიერი ტრაგმის მოშეუტება.

თუმცა, ბავშვებს ისიც ავუხსენით, რომ ამგვარი სიტყვების თქმა არ შეიძლება არც შინ, არც სკოლაში და არც გარეთ. ეს წესი თქვენც პრაქტიკაში უნდა გაატაროთ.

უზრდელი სიტყვების თქმა არ შეიძლება არც შინ, არც სკოლაში და არც გარეთ.

სახლში ბავშვს მკაცრად უნდა აექრძალოს ვულგარული ლაპარაკი. ყურადღება მიაქციეთ ყოველთვის, რატომ ამბობს ბავშვი ქუჩურ სიტყვებს – უმიზეზოდ, თქვენს გასაბრაზებლად თუ იმისთვის, რომ თქვენთან საუბრის წამოწყება სურს.

თუ საჭიროა, თქვენი მხრიდანაც აუხსენით, რატომაა ამგვარი სიტყვები თერაპიაზე მისაღები და შინ – არა!

**მე-3 ფაზა:** საშინაო დავალება. “რა ვიღონოთ იმისთვის, რომ ბავშვმა შინ ა(ღა)რ თქვას უზრდელური სიტყვები?”  
აუხსენით ჯგუფს საშინაო დავალების შინაარსი და დაავალეთ, მომდევნო კვირისთვის შეავსონ № X.4 ფურცელი.

### ვურცელი X.4

#### საშინაო დავალება

რა ვიღონოთ იმისთვის, რომ ბავშვმა შინ არ თქვას უზრდელური სიტყვები?

დაწერეთ, რა სიტყვები თქვა თქვენმა შვილმა:

.....

დაწერეთ, რა მოიმოქმედეთ თქვენ:

.....

#### **მე-4 ფაზა: სქესობრივი განათლებასთან დაკავშირებული კითხვები**

შვილის სექსუალური განათლება ერთობ რთული საქმეა ნებისმიერი მშობლისთვის. წარმოიდგინეთ, რაოდენ რთულია ეს ჩვენი სამიზნე მშობლებისთვის! ზოგი მათგანი ასეთ რამესაც კი ფიქრობს: “მეტი რაღა სექსუალური განათლება უნდა ჩემს შვილს, ისედაც საკუთარ თავზე გამოსცად ყველაფერი!”

ეს თემა თუ მონაწილეთა მხრიდან არ წამოიჭრა, იგი თავად უნდა დასვათ. განუმარტეთ მშობლებს, რომ სწორი სექსუალური განათლება აუცილებელია მათი შვილებისთვის; ის გამოცდილება, რაც მათ მიიღეს, უარყოფითი შინაარსისაა, მათ არასწორი შთაბეჭდლება შეექმნათ სექსუალურ ცხოვრებაზე და გასაოცარი არ იქნება, თუ საკუთარი სექსუალური განვითარების გზაც საქმაოდ ბუნდოვნად მოეწვენებათ.

(ბოლო გეერდზე იხილეთ სექსუალური განათლების სახელმძღვანელოების ჩამონათვალი.)

**მე-5 ფაზა:** რა იქნება ბავშვების მომდევნო სესიის თემა?

აჩვენეთ მშობლებს, რა სავარჯიშოებს გაივლიან მათი შვილები მომდევნო სესიაზე, რა იქნება სესიის თემა და რა კუთხით შეიძლება წარიმართოს ამ თემის ირგვლივ საუბარი.



## თევარის ნიცეფები სკოლური დოკუმენტით დარღვევი

- კორიზონი 1ს სკოლაში არის განვითარებული, რომელიც სკოლური კულტურული მართვის გრძელების და მოვალეობის განვითარების მიზანისათვის.
- კორიზონი 2ს სკოლაში არის განვითარებული, რომელიც სკოლური კულტურული მართვის გრძელების და მოვალეობის განვითარების მიზანისათვის.
- კორიზონი 3ს სკოლაში არის განვითარებული, რომელიც სკოლური კულტურული მართვის გრძელების და მოვალეობის განვითარების მიზანისათვის.



თერაპევტის სახელმძღვანელო ბაგშვითა ჯგუფური თერაპიის სტრუქტურასა და მეთოდიებს განიხილავს. საუბარია 4-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებზე, რომელთაც სექსუალური ძალადობა განიცადება.

სახელმძღვანელოში დეტალურადაა აღწერილი, როგორ უნდა წარიმართოს მუშაობა თითოეულ სესიაზე, როგორ გაშექდეს ცალკეული თემები: დანაშაულის გრძნობა, სირცხვილი, ბრაზი, კოშმარები, საიდუმლოებები და მრავალი სხვა. ამისთვის კი რამდენიმე მეთოდი გამოიყენება: დისკუსია, ხატვა, თამაში და ვარჯიში.

საგარჯიშოთა კრებულის ფურცლებზე მოცემულია საკითხები ტექსტები და საგარჯიშოები. ის გაეკუთნილია ბავშვებისთვის.

მშობელთა ჯგუფის მენტორის სახელმძღვანელო თავის მხრივ მშობელთა კრებების დღის წესრიგსა და მუშაობის მეთოდებს ეხება.

მშობლების საგარჯიშოთა კრებული მრავალ საინტერესო ინფორმაციას იძლევა, განმარტავს სექსუალური ძალადობის ასპექტებს და სექსუალური ქცევის თავისებურებებს, ეხმარება მშობლებს ბაგშვთან ურთიერთობაში თერაპიის მსვლელობისას.

მოცემული სახელმძღვანელოები და საგარჯიშოთა კრებულები ჯგუფურ თერაპიაზე გათვლილი, თუმცა ინდივიდუალური თერაპიისთვისაც გამოდგება.